

საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი

წიგნი 9

თბილისი
2009

UDC (უაკ) 016 : 908 (479. 22)

ს-322

საძიებელზე მუშაობდნენ: დ. თეთრაშვილი ე. იმნაძე, ლ. კარბელაშვილი, ლ. მარინაშვილი, ნ. მაჭავარიანი, ფ. ცარიტოვა, თ. ხიზამბარელი

გამოცემის რედაქტორი: ვ. კიკილაშვილი

რედაქტორი: ჟ. ქვათაძე

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: გ. თაყნიაშვილი

კონსულტანტი კლასიფიკაციის საკითხებში: ლ. კაკულია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: თ. ქურციკიძე

დაკაბადონება: შ. პაპალაშვილი

საქართველო : ანოტირ. ბიბლიოგრ. საძიებელი / საქ. პარლამენტის ეროვნ. ბიბ-კა [რედ. ჟ. ქვათაძე] . – თბ. , 2009 . – 20 სმ.

წ. 9 / [საძიებელზე მუშაობდნენ : დ. თეთრაშვილი, ე. იმნაძე, ლ. კარბელაშვილი, ლ. მარინაშვილი და სხვ. ; გამოც. რედ. ვ. კიკილაშვილი]. – 213 გვ.

ISSN 978-9941-0-2019-3 (ყველა წიგნის)

ISBN 978-9941-0-2079-7 (წიგნი 9)

რედაქტორისაგან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა შეაგროვოს, ფართოდ წარმოაჩინოს და საქართველოს საკითხებით დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე.

განყოფილება აგრძელებს საინფორმაციო საძიებელ «საქართველოს» გამოცემას, რომელიც საქართველოსმცოდნეობით დაინტერესებულ პირებს და სამეცნიერო დაწესებულებებს მიაწვდის ინფორმაციას ბიბლიოთეკაში შემოსულ ახალ წიგნებზე, ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის საინტერესო სტატიებზე.

წინამდებარე საძიებელი წინა საძიებლების გაგრძელებაა. ეს და შემდეგი რამდენიმე გამოცემაც ხარვეზების შევსებას ითვალისწინებს, რაც საშუალებას მოგვცემს საძიებლის შემდეგი ნომრები გამოცემის წლების მიხედვით წარმოვადგინოთ.

საძიებელში წარმოდგენილი მასალა განლაგებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. იგი ანოტირებულია, რაც მკითხველს დასახელებული ლიტერატურის შინაარსისა და ძირითადი მონაცემების გაცნობის საშუალებას მისცემს.

მაჩვენებელს ერთვის პირთა ანბანური საძიებელი და აღწერილი ჟურნალების სია.

საინფორმაციო საძიებელზე მომუშავე თანამშრომლები სიამოვნებით მიიღებენ დაინტერესებულ პირთა შენიშვნებსა და წინადადებებს.

დამწერლობა

1. გამყრელიძე თ. ძველი ქართული დამწერლობის ქრისტიანული საწყისები // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2002 . -№4 . – გვ. 3 – 9.
წერილობითი სისტემა წარმართულ საქართველოში. ასომთავრული დამწერლობის შემოღება ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით.
2. თავაძე თ. ქართული ასომთავრული და ბემზოს ფირის საიდუმლოება!.. // ხატაური . – 2001 . -№1 (2) . – გვ. 56 – 62; №2 (3) . – გვ. 58 – 64.
ახალი მისტიკები ქართულ ასომთავრულ ანბანში. დემიკო ანთიძის მიერ, რამაზ პატარიძისა და ზურაბ ქაფიანიძის თეორიებზე დაყრდნობით სამყაროს აღწერის ახალი მეთოდის გამოყენება. ქართული ენის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და ასომთავრულში ჩადებული უმთავრესი კოსმიური კანონები.

კულტურა

3. ბოცვაძე ჯ. ფრანგული კულტურის ცენტრი საქართველოში // ექო სახიერი . – 2005 . -№6 . – გვ. 170 – 171.
ცენტრის დაარსება და საქმიანობა.
4. გაფრინდაშვილი რ. ქართული მენტალიტეტი და ინდივიდუალისტური კულტურა // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . -№7 (446) . – გვ. 181 – 183. რეზ. ქართ. , რუს. და ინგლ. ენებზე.
თანამედროვე დასავლეთი უმაღლეს ღირებულებად ადამიანთა ინდივიდუალობის განვითარებას მიიჩნევს. აზია-აფრიკის განვითარებად ქვეყნებში კი მთავარი ღირებულება კოლექტივიზმია და ინცესტუოზური კავშირები (ოჯახური, ნათესაური, მეგობრული) ჯერ კიდევ მყარია. ამ მაჩვენებლებით საქართველო კოლექტივისტური კულტურის ქვეყნებს მიეკუთვნება, მაგრამ თუ ამ კულტურის მატარებელი ქვეყნების კანონის უზრუნველყოფას და წესრიგს გავითვალისწინებთ, ჩვენი ქვეყანა ინდივიდუალისტური ქვეყნების რიგში დგას.
5. გიორგანაშვილი ე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918 – 1921 წწ.) და ქართული კულტურა // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . -№2 (435) . – გვ. 61 – 71. რეზ. ქართ. , რუს. და ინგლ. ენებზე.
წარმატებები განათლების სფეროში, ლიტერატურაში, თეატრსა და მუსიკალურ ცხოვრებაში.
6. ნათენაძე ს. ცუდად დაწყებული კარგი მოგზაურობა : (ქართული კულტურის დღეები ინგლისში) // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 38 – 39.
7. ნიჟარაძე გ. ქართული საზოგადოება დღეს : ადაპტაციური კრიზისი // დრო მშვიდობისა . – 2001 -№1 . – გვ. 38 – 41.

წერილი ეხება ქართული კულტურის საკითხებს და მასში განხილულია ქართული საზოგადოების სტრუქტურა და გავრცელებული ქცევითი სტერეოტიპები საბჭოთა რეჟიმის პირობებში (60_80-იანი წლები); დასაბუთებულია გაბატონებული ქცევითი მოდელების შეცვლის აუცილებლობა დღევანდელი რეალობის მოთხოვნით.

8. პავლიაშვილი დ. შიდა ქართლი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 94 – 101. რეზ. ინგლ. ენაზე.

რეგიონის როლი ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

9. სიმპოზიუმი იერუსალიმში // ციონი . – 2001 . -№2 . – გვ. 29.

მიემდვნა ქართველთა და ებრაელთა ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობათა საკითხებს.

10. ქვრივიშვილი მ. XX საუკუნის 10_20-იანი წლების შეხედულებანი კულტურის შესახებ // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 177 – 181.

იმდროინდელ მოღვაწეთა შრომებში ასახული ქართული კულტურის მდგომარეობა, როლი და მნიშვნელობა ერისა და ქვეყნის მომავალ ცხოვრებაში, რაც მიუღებელი იყო საბჭოთა იდეოლოგიისათვის და მათ თავიანთი «კულტურული რევოლუცია» დაუპირისპირეს.

11. ჩიქოვანი ნ. კავკასიური კულტურა, ერთიანი კულტურული სივრცე, ცივილიზაცია, სუბცივილიზაცია თუ იდენტურობა? // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 5 – 13. რეზ. ინგლ. ენაზე.

კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს კულტურული რაობისა და ცივილიზაციური იდენტურობის პრობლემათა კვლევა. 12. წინაპართა საფლავები შველას ითხოვენ // ციონი . – 2001 . - №2 . – გვ. 12.

თბილისში დაარსებული ებრაელთა კულტურის ძეგლებისა და საფლავების დაცვის ასოციაციის შესახებ.

ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები

13. საქართველოს ანტიკური ხანის (იბერიულ-კოლხური) არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა 1990 – 2002 წწ. სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია / შეადგინეს ე. გიგოლაშვილმა და თ. ჭანიშვილმა // იბერია-კოლხეთი . – 2003 . -№1 . – გვ. 186 – 192.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

14. ბერძენიშვილი ლ. ავტომატიზაცია და ინტერნეტი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში / ლ. ბერძენიშვილი, თ. ჩხენკელი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№1 . – გვ. 7 – 11.

კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში: წარსული – 1999 წლამდე, აწმყო – 1999 წლიდან და მომავალი.

15. გოგიჩაიშვილი გ. მარტივი წინადადების სინტაქსური ანალიზატორი მართვის ავტომატიზებულ სისტემებთან დიალოგისათვის შეზღუდულ ქართულ ენაზე // გ. გოგიჩაიშვილი, ლ. ჩხაიძე, მ. ვეკუა // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . -№4 (437) . – გვ. 70 – 74. რეზ. ქართ. , რუს. და ინგლ. ენებზე.

კომპიუტერთან ბუნებრივ ენაზე ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის – წინადადების სინტაქსური ანალიზის განხილვა.

საბიბლიოთეკო საქმე

16. ბოლომდე გაუვლელი გზა : (ნელი მუსერიძე) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№1 . – გვ. 67 – 68.

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის დოცენტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. გახსენება.

17. გაჯიევა ფ. ჩვენი ბიბლიოთეკის ყოველდღიურობა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№2 . – გვ. 57 – 59.

თბილისის №9 სკოლა-გიმნაზიის ბიბლიოთეკის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა.

18. ვასაძე ნ. სპეციალისტთა საქმიანი შეხვედრა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№3 . – გვ. 37 – 39.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარებული კონფერენცია თემაზე: «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები».

19. თეთრუაშვილი ნ. «სახლი კითხვისა» // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№3 . – გვ. 43 – 44.

საბიბლიოთეკო საქმე დუშეთის რაიონში: წარსული და დღევანდელი მდგომარეობა.

20. თხელიძე ც. ჩვენი ენა ქართული // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№1 . – გვ. 59 – 60.

ზესტაფონის რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების სისტემაში შემავალი ბიბლიოთეკების წვლილი ქართული ენის დაცვის საქმეში: ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებანი.

21. IFLA-ბერლინი 2003 : ლაპარაკობენ კონგრესის მონაწილენი // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 46 – 47.

ბერლინში ჩატარებული მორიგი 69-ე საერთაშორისო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო შეკრების მონაწილეების – თინა ჯაჭვადისა და მზია რაზმაძის შთაბეჭდილებები

22. კოტეტიშვილი დ. საბიბლიოთეკო პრობლემები საერთაშორისო ასპექტით : (ანგარიში) // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№2 . - გვ. 65 – 67.

თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის საერთაშორისო ცენტრის თბილისის ოფისის ინიციატივით გამართული კონფერენცია თემაზე: «ბიბლიოთეკების გარდაქმნა და თანამედროვე საბიბლიოთეკო სკოლა: პრობლემები და პერსპექტივები».

23. ლორია ალ. შენიშვნები შენიშვნებზე / ალ. ლორია, ნ. მელქაძე // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№1 . – გვ. 53 – 57.

გამოხმაურება გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკაში» (2002, 18 ივლ.) დაბეჭდილ რამაზ სურმანიძის სტატიაზე სათაურით – «გავრილ ტოკარევი თუ დიმიტრი ყიფიანი?», სადაც მწერალი საჯარო ბიბლიოთეკის პირველ დირექტორად მიიჩნევს დიმიტრი ყიფიანს.

24. მელქაძე ნ. ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მატთანე : (1868_1904) / ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№2 . – გვ. 52 – 57.

25. მელქაძე ნ. ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მატთანე / ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 26 – 33.

1903 – 1912 წწ.-ში ბიბლიოთეკისა და კავკასიის მუზეუმის დირექტორის – ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კაზნაკოვის მოღვაწეობა. ამ პერიოდის ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ფონდები და საქმიანობა.

26. 50 წელი წიგნის სამყაროში // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 59 – 60.

ქ. ფოთის ცენტრალური ბიბლიოთეკის მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგის – თინა სალაყაიას მოღვაწეობა.

27. ჟიჟილაშვილი ზ. ცოცხალი მემატთანე. მერი მელაძე – 100 // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№1 . – გვ. 47 – 50.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი მუშაკი. ცხოვრების გზა.

28. ჟღენტი თ. წარსულსა და დღევანდელს შორის // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№1 . – გვ. 28 – 31.

თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 10 წლისთავის გამო. საქმიანობა. წერილები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შესახებ.

29. სარაჯიშვილი გ. ცოტა რამ სამკითხველო-ბიბლიოთეკების შესახებ და დავით სარაჯიშვილის პირადი ბიბლიოთეკა // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 49 – 54.

30. საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003–2005 წლების კონფერენცია : 1. ქვეყნის საბიბლიოთეკო საქმეში არსებული მდგომარეობა 1991/92–2001 წწ. ; 2. საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების 2003–2005 წლების კონფერენცია // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 8 – 10.

31. ფილაური-ლორია ი. მთავარია სიახლე // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . - №1 . – გვ. 17 – 22.

საქართველოს ბიბლიოთეკართა ერთი ჯგუფის საქმიანი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მათ ორი შტატის ფარგლებში დაათვალიერეს ბიბლიოთეკები და გაეცნენ კოლეგების გამოცდილებას: შთაბეჭდილებები.

32. ფილაური-ლორია ი. პროგრამა გრძელდება // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№2 . – გვ. 63 – 65.

ქართველი სპეციალისტების მასაჩუსეტსის შტატში სტაჟირების პროგრამის ორგანიზატორების – სტივენ ჯონსის, ტერი პლამის და ბონი იზმანის ვიზიტი თბილისში საქართველოს ბიბლიოთეკების მუშაობისა და მათ მიერ ორგანიზებული პროგრამის განხორციელების გასაცნობად.

33. ქავთარაძე ნ. ბიბლიოთეკის დაკომპლექტების არატრადიციული ფორმები და საშუალებები // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№3 . – გვ. 7 – 11.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და თბილისის სხვა ბიბლიოთეკების ფონდების დაკომპლექტების მდგომარეობა.

34. ღარიბაშვილი ი. ქართველი ბიბლიოთეკარები ჯორჯიაში // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№1 . – გვ. 23 – 27.

შთაბეჭდილებები. აქვე: გამოხმაურება ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში სტაჟირებაზე გაგზავნილი ორი ჯგუფის საქმიანობაზე: ამერიკული და ქართული პრესის მასალების მიმოხილვა.

35. შოთაშვილი ო. საუბრები განსჯისათვის // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . - №3 . – გვ. 16 – 23.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინებული საქართველოს საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტების მიერ მიღებული გამოცდილების ანალიზი და შთაბეჭდილებები. ფრაგმენტები საქართველოს მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დირექტორის – ომარ შოთაშვილის ნაშრომიდან, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებს ასახავს.

36. ჩხაიძე გ. კავკასიის მუზეუმი და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა / გურამ ჩხაიძე, ნინელი მელქაძე // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 122 – 137. რეზ. რუს. ენაზე.

1868 წელს გუსტავ რადეს ხელმძღვანელობით გაერთიანებული კავკასიის მუზეუმისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის 150 წლიანი ისტორია.

37. ცინარიძე ო. მთას ნისლი ალამაზებს, კაცს – საქმე // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№1 . – გვ. 46 – 47.

შუახვევის რაიცენტრალური ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული კოორდინაციისა და კონსულტაციის განყოფილების ხელმძღვანელის _ ოთარ ფევაძის განვლილი გზა. დაბადების 55 წლისთავის გამო.

38. ცნობარი სამხრეთ კავკასიის ბიბლიოთეკების შესახებ // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 61 – 62.

ინფორმაციული ხასიათის მასალა ერევანში, სომხეთის საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ 2003 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის “Библиотеки Южного Кавказа и кто есть кто в библиотечной сфере” შესახებ. ცნობარი შეიცავს ცნობებს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს უნივერსალური, სამეცნიერო, საჯარო და ეროვნული ბიბლიოთეკების შესახებ.

39. ხორბალაძე ლ. დაჯილდოება // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 60 – 61.

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლების _ თინათინ რუხაძისა და ეთერ ქურდიანის ღირსების ორდენით დაჯილდოება.

40. ჯანიაშვილი დ. ნამდვილ მკითხველს ბიბლიოთეკის გზა არ დაავიწყდება // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 16 – 17.

საგარეჯოს №1 საქალაქო ბიბლიოთეკა – ფილიალის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა.

ჟურნალისტიკა. პრესა. პუბლიცისტიკა

41. პაატა ნაცვლიშვილი დილის გაზეთის ფურცლებზე : გაზეთის საიუბილეო საჩუქარი ცნობილ ჟურნალისტს . – თბ. , 2002 . – 351 გვ.

“დილის გაზეთში” ექვსი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ნაწერების კრებული ეძღვნება ცნობილ ჟურნალისტის საიუბილეო თარიღს _ დაბადებიდან 50 წლისთავს.

42. ჟურნალისტიკა IX : საქ. სს უმაღლ. სასწ. და თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკ-ტის რესპ. სამეც. კონფერენც. თბილისი, 28_29_30_31_1. V-VI. 2001 წ. : მუშაობის გეგმა და მოხსენებები / [რედ. დ. ტყეშელაშვილი] . – თბ. , 2001 . – 286 გვ.

ა. არაბულის, დ. ალავეძის, შ. აფრიდონიძის, რ. გახოკიძისა და სხვათა მოხსენებების შემოკლებული ვარიანტები.

43. ჯორჯაძე ა. ჩემი აზრები და ფიქრები . – თბ. , 2000 . – 174 გვ.

პუბლიცისტიკისა და საზოგადო მოღვაწის _ არჩილ ჯორჯაძის ნაწერებიდან ამოკრებილი შემეცნებითი ხასიათის აზრების, მაქსიმების, გამონათქვამების, სენტენციებისა და შეგონებების კრებული.

44. ბალანჩივაძე თ. ბავშვთა ხელნაწერი ჟურნალი «სახე» // სკოლა და ცხოვრება . – 2002 . -№10 - 12 . – გვ. 91 – 100.

პედაგოგ სერგო მიმინოშვილის მიერ დაარსებული ჟურნალის მიმოხილვა, მისი როლი მოსწავლეთა აღზრდის საქმეში. სტრუქტურული და შინაარსობრივი სპექტრის წარმოსაჩენად გაანალიზებულია ჟურნალის 2000 წლის №6.

45. ბრეგაძე ლ. ფრანგული ჟურნალი თბილისში // ექო სახიერი . – 2005 . -№6 . – გვ. 89 – 92.

ფრანგი ჟურნალისტის – ჟიულ მურიეს მიერ თბილისში 1889 – 1892 და 1899 – 1902 წლებში გამოცემული ყოველკვირეული ჟურნალის «Le Caucase illustré»-ს («ილუსტრირებული კავკასია») მიმოხილვა.

46. დაფუძნდა ჟურნალისტთა ასოციაცია «მრავალეროვანი საქართველო» // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№2 . – გვ. 34 – 35.

ინფორმაცია.

47. ელიზბარაშვილი ნ. ისტორიის ავკარგიანობა და ქართული მედია-კულტურა // მეორე არსენალი . – 2002 . -№1 (ოქტომბერი) . – გვ. 85 – 89. რეზ. გერმ. ენაზე.

მასმედიის ნიჰილისტური დამოკიდებულება ქართული კულტურისადმი, ზოგადად, ყოველგვარი ეროვნულისადმი. მისი როლი მოსახლეობის პოლარიზაციის გაღრმავებასა და ღრმა სოციალ-პოლიტიკური კრიზისის პროვოცირებაში. ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების გააქტიურება-გაერთიანების აუცილებლობა თანამედროვე პირობებში.

48. თაყნიაშვილი გ. ჟურნალი ძალას იკრებს / «საქართველოს ბიბლიოთეკის» მეათე ნომრის გამოცემის გამო // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№1 . – გვ. 51 – 53.

49. თხილავა ე. გაზეთი «იმერეთი» და საზოგადოებრივი აზრი // ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები : ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1 . – 2001 . -№2 (36) . – გვ. 39 – 42. რეზ. ინგლ. ენაზე.

გაზეთის, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ორგანოს გავლენა XX ს-ის 10-იანი წლების დასავლეთ საქართველოსა და, კერძოდ, ქუთაისის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

50. კარალიძე ჯ. ეროვნული საკითხი XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პუბლიცისტიკაში : («ბათუმის გაზეთის» მასალების მიხედვით) // ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი . – 2001 . – კრ. 1 . – გვ. 60 – 67. რეზ. რუს. ენაზე.

«ბათუმის გაზეთის» როლი ეროვნული საკითხის პროპაგანდის საქმეში. გამოდიოდა 1911 წლის 15 ივლისიდან 1914 წლის 13 ივლისამდე.

51. კიკვაძე მ. მემედ აბაშიძის პუბლიცისტიკის ენობრივი თავისებურებანი : (გაზეთ «სამუსლიმანო საქართველოს» პუბლიკაციების მიხედვით) // ბათუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი . – 2001 .
– კრ. 1 . – გვ. 129 – 142. რეზ. რუს. ენაზე.

გაზეთი გამოდიოდა 1919-1921 წწ.

52. კიკნაძე ვ. ჩვენი ნანა! // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 64 – 65.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ ჟურნალისტ ნანა ღვინეფაძის «ოქროს ფრთით» დაჯილდოებასთან დაკავშირებით მილოცვა და შემოქმედებითი ღვაწლის გახსენება.

53. მუმლაძე მ. ვანის აღმოჩენები XIX საუკუნის ქართულ პრესაში // ძიებანი . – 2003 . -
№11 . – გვ. 101 – 105.

XIX ს-ის ქართული პრესის (“Тифлиссские новости”, “Кутаисская ведомость”, «ივერია») როლი ვანის ნაქალაქარის აღმოჩენების პოპულარიზაციის საქმეში.

54. მღებრიშვილი თ. ქართული საგაზეთო რეკლამის ისტორიიდან // თსუ სლავისტიკის ცენტრის შრომები . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 52 – 65. რეზ. რუს. ,
ინგლ. და გერმ. ენებზე.

საქართველოში საგაზეთო რეკლამა საუკუნესა და შვიდ ათეულ წელზე მეტს ითვლის და იგი კვლევის საინტერესო ობიექტია არა მარტო ლინგვისტიკისათვის, არამედ ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და სხვა მეცნიერებებისათვის.

55. 80 წლის სახელოვანი იუბილარი // საქართველოს სამედიცინო მოამბე . – 2002 . -
№4 (ოქტომბერი-დეკემბერი) . - გვ. 4 – 5

ჟურნალ «საქართველოს სამედიცინო მოამბის» შემოქმედებითი გზა.

56. ჩვენი «ორბეთი» // ორბეთი . – 2001 . -№1 – 2 . – გვ. 131 – 135.

გურამ ბენაშვილი, ლადო მრელაშვილი, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, გურამ ოდიშარია და რევაზ კვერენჩილაძე ჟურნალ «ორბეთის» გამოსვლასთან დაკავშირებით.

57. Ананишвили Н. Русскоязычная журналистика в Грузинской Республике 1918 – 1921 гг. : (Газеты “Слово”, “Борьба”) // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები : პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის განყოფილება . – 2001 . -№2 . – გვ. 3 – 6. რეზ. ინგლ. ენაზე.

Самые крупные периодические издания правящей социал-демократической партии. Обзор материалов.

მუზეუმები

58. აბრეშუმის მუზეუმი / [ტექსტის ავტორი – მუზეუმის დირექტორი ირინე ჭოტორლიშვილი] . – [თბ. , 2005] . – 40 გვ.

აბრეშუმის მუზეუმის ისტორია, მნიშვნელოვანი თარიღების ქრონოლოგია, ნ. შავროვი – მოქალაქე და მეცნიერი, მისი როლი კავკასიის მეაბრეშუმეობის განვითარებაში. მუზეუმის საგანძურის პირველი მეანაბრეები, აბრეშუმის საოჯახო

რეწვა. გამონათქვამები მუზეუმის შესახებ. ერთვის საინტერესო ფოტომასალა და რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

59. აბესაძე ც. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის ისტორია / ც. აბესაძე, ნ. ქებულაძე // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 249 – 258. რეზ. რუს. ენაზე.

60. არაბული გ. ბოტანიკური მეცნიერების განვითარება საქართველოში და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 108 – 117. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბოტანიკის განყოფილების შექმნისა და განვითარების ისტორია. ცნობები საქართველოში მოღვაწე უცხოელი ბოტანიკოსების, მუზეუმის ხელმძღვანელებისა და განყოფილების სხვა თანამშრომელთა – გ. რადეს, ი. ვორონოვის, ბ. შიშკინის, პირველი ქართველი ბოტანიკოსების – ელისაბედ ქიქოძის, ვასილიდა პაპავას, კუკური ქიმერიძისა და სხვათა სამუზეუმო, საგამოფენო, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ.

61. გეგეჭკორი ა. ზოოლოგიის განყოფილების დაარსებისა და განვითარების მოკლე ისტორია // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 94 – 107. რეზ. რუს. ენაზე.

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის აღნიშნული განყოფილების ისტორია, საქმიანობა. ცნობები განყოფილების ხელმძღვანელებისა და სხვა თანამშრომლების – გ. რადეს, ი. ჩხიკვიშვილის, ი. ჯამბაზიშვილის, ა. გეგეჭკორის, ე. დიდმანიძისა და სხვათა სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

62. გელაძე თ. კოსტიუმის ფონდის შექმნისა და ფიქსაციის ისტორიიდან მუზეუმში / თამარ გელაძე, გიორგი ჯალაბაძე // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 287 – 296. რეზ. რუს. ენაზე.

კავკასიის ხალხთა ჩაცმულობის ნიმუშების კოლექცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1912 წელს, კავკასიის ხალხთა კოსტიუმის ატლასზე სამუშაოდ მოწვეული გერმანელი მხატვრის – მაქს ტილკეს შემოქმედება. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული ნამუშევრების სია და 1923 წელს ბერლინში გამოცემულ წიგნში “Orientalische Kostyme in schnitt und farbe” გამოქვეყნებული ნამუშევრები.

63. გუგუტიშვილი მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კინო-ვიდეო ფონდი / მ. გუგუტიშვილი, ი. ჩხარტიშვილი, მ. ხუციშვილი // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 279 – 286. რეზ. რუს. ენაზე.

ეთნოგრაფიული ფილმის როლი ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში და მისი განვითარების გზები საქართველოში. მუზეუმის კინო-ვიდეო ფონდში დაცული ველზე მოძიებული და საბჭოთა რესპუბლიკების არქივებიდან ამოღებული უძველესი კინოფირები საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მკვიდრთა ყოფისა და ზნე-ჩვეულებების ამსახველი უიშვიათესი კადრებით.

64. დავლიანიძე ც. არქეოლოგიის განყოფილება მუზეუმში // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 71 – 84. რეზ. რუს. ენაზე.

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთი უძველესი სტრუქტურული უჯრედის – «არქეოლოგიის განყოფილების» განვითარების გზა. ცნობები მუზეუმში მოღვაწე არქეოლოგთა მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

65. კვანტიძე გ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული პირველი ეთნოგრაფიული კოლექციები / გ. კვანტიძე, თ. შარიქაძე // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 221 – 228. რეზ. რუს. ენაზე.

მუზეუმის დაარსების ისტორია. პოეტისა და ეთნოგრაფის – რაფიელ ერისთავის ღვაწლი და დამსახურება მუზეუმის წინაშე. ეთნოგრაფიულ ფონდში დაცული კოლექციები და XIX ს-ის 50-იან წლებში შემოსული ნივთები.

66. ლომიტაშვილი დ. საექსპოზიციო საქმის განვითარება საქართველოს მუზეუმში / დ. ლომიტაშვილი, ს. კენჭაძე // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 215 – 220. რეზ. რუს. ენაზე.

მუზეუმის საექსპოზიციო საქმიანობა დაარსებიდან ბოლო წლებამდე.

67. ლორთქიფანიძე დ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილება // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 118 – 121. რეზ. რუს. ენაზე.

ფონდი, ექსპოზიცია, სამეცნიერო პრობლემატიკა. ცნობები განყოფილების ხელმძღვანელებისა და სხვა თანამშრომლების შესახებ.

68. ნადირაძე ე. ეთნოგრაფიული მეცნიერების ჩასახვა და განვითარება საქართველოს მუზეუმში / ე. ნადირაძე, ნ. შოშიტაშვილი // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 85 – 93. რეზ. რუს. ენაზე.

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დასახელებული განყოფილების განვითარების გზა და საქმიანობა. ცნობები მუზეუმში მოღვაწე მეცნიერ ეთნოგრაფთა შესახებ.

69. სილოგავა ვ. ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და მათი შესწავლა // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 229 – 248. რეზ. რუს. ენაზე.

მუზეუმში თავმოყრილი ქვის ძეგლების, ქვაზე შესრულებული წარწერების (ურარტული, არამეული, ბერძნული, ებრაული, არაბული, სომხური, ქართული) კოლექციების მოკლე დახასიათება, სამომავლო ამოცანები და მიმართულებები.

70. ქავთარია მ. რამდენიმე ცნობა ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების საქმიანობიდან // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 138 – 161. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ისტორია. ინფორმაცია მის პირველ ხელმძღვანელებზე – პავლე ინგოროყვასა და სხვ. აღნიშნული განყოფილების ბაზაზე ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსება.

71. ყენია რ. მესტიის მუზეუმი // ხატაური . – 2001 . -№2 . – გვ. 38 – 39.

მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ინსტიტუტის მუზეუმში დაცული ექსპონატები: მოჭედილყდიანი ხელნაწერი ოთხთავები და ხატწერის ნიმუშები.

72. ჩხაიძე გ. მუზეუმის დირექტორები / გ. ჩხაიძე, თ. შარიქაძე // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 192 – 202. რეზ. რუს. ენაზე.

ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის დირექტორების სია (1852 – 2002 წწ.)

73. ჩხაიძე გ. სამუზეუმო საქმე საქართველოში (1852 – 1919 წწ.) : (ფაქტები და პიროვნებები) // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 297 – 314. რეზ. რუს. ენაზე.

74. ჩხაიძე გ. სამუზეუმო საქმის ისტორიიდან საქართველოში : («ნატურალისტ ფ. ბაიერნის კაბინეტი») საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . - №2 (435) . – გვ. 48 – 54. რეზ. ქართ. , რუს. და ინგლ. ენებზე.

ავსტრიელი მეცნიერის – ფრიდრიხ ბაიერნის სამუზეუმო საქმიანობა და სამეცნიერო მოღვაწეობა. მის მიერ 1856 წ. თბილისში დაარსებული საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმის ექსპოზიციები.

75. ჩხაიძე გ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი : (1852 _ 1932) . – თბ. , 2003 . _ 294 გვ.

რეც. : სიჭინავა ა. ნაშრომი სახელმწიფო მუზეუმის შესახებ // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 63 – 64.

76. წოწელია მ. ნუმიზმატიკა საქართველოს მუზეუმში // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 162 – 167. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა. ცნობები ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებლის – მიხეილ ბარათაშვილის (1784 – 1856), ნუმიზმატიკის კაბინეტის ხელმძღვანელების – თამარ ლომოურის, დავით კაპანაძისა და სხვა თანამშრომელთა ფონდებში დაცული განძებისა და მონეტების შესახებ.

77. ჭილაშვილი ლ. საუკუნე-ნახევრის გადასახედიდან // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 29 – 70. რეზ. რუს. ენაზე.

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ისტორია. დაარსებიდან 150 წლისთავის გამო.

78. ჯავახიშვილი ქ. გლიპტიკის კაბინეტი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე . – 2002 . – ტ. 44 . – გვ. 275 – 278. რეზ. რუს. ენაზე.

კაბინეტის დაარსების ისტორია, ფონდში დაცული მასალები, გამოკვლევები, კატალოგები, მიმდინარე სამუშაოები.

ხელნაწერები

79. მაჭავარიანი ე. ალავერდის ოთხთავი // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№1 . – გვ. 26 – 29.

XI ს-ის ხელნაწერის, ე. წ. ალავერდის ოთხთავის შესრულების მანერა და დასურათება.

80. ქაჯაია ლ. ადიშის ოთხთავის რედაქციის ახლად გამოვლენილი ხანმეტი ფრაგმენტი // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№8 . – გვ. 8 – 18.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ H 999 ხანმეტ პალიმფსესტში გადარეცხილ ფურცლებზე ამოკითხული მათესა და ლუკას სახარების ფრაგმენტები.

81. Gvaramia R. V. Kekelidze Institute of Manuscripts, Georgian Academy of Sciences : Arabic Manuscripts and their Study / R. V. Gvaramia, N. G. Kanchaveli // ორიენტალისტი . – 2003-2004 . – ტ. 2 . – გვ. 91 – 98. რეზ. ქართ. ენაზე.

განხილულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბული ხელნაწერები, რომელთა ქრონოლოგიური საზღვრებია XIII საუკუნე – XX ს-ის დასაწყისი.

ფილოსოფია. ფსიქოლოგია. ესთეტიკა

82. აბზიანიძე თ. აზროვნების დამოუკიდებლობა – უდიდესი ღირებულება // სკოლა და ცხოვრება . – 2001 . -№1 – 6 . – გვ. 152 – 155.

ფილოსოფოსი სერგი დანელია, მეცნიერული ღვაწლი.

83. აბზიანიძე შ. ნაციონალიზმი ქართველ ახალგაზრდებში და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები / შალვა აბზიანიძე, თინათინ ტყემელაშვილი, ელენე კვანჭილაშვილი // დრო მშვიდობისა . – 2002 . -№4 . – გვ. 103 – 114.

განხილულია ნაციონალიზმის ცნება სოციალ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე, გაანალიზებულია ნაციონალიზმის ფსიქოლოგიური ასპექტები, მოცემულია ფსიქოლოგიური კორელატების ემპირიული კვლევის შედეგები.

84. არჩვაძე ზ. დავით ბატონიშვილი _ მონტესკიეს «კანონთა გონის» კომენტატორი // ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები : ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1 . – 2001 . -№2 (36) . – გვ. 3 – 10. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართლ-კახეთის ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის _ დავით ბატონიშვილის მიერ 1813 – 1815 წლებში შესრულებული ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებლის _ შარლ ლუი მონტესკიეს ნაშრომის თარგმანი სათაურით: «გულისხმის ყოფისათვის სჯულთასა» კომენტარებით.

85. არჩილ გონაშვილი (1927 – 2001) // ფილოსოფიური ძიებანი . – 2002 . -№6 . – გვ. 417.

საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – ნეკროლოგი.

86. ზლიაძე ე. ალექსანდრე ამილახვრის წერილები // ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები : ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1 . – 2001 . -№2 (36) . – გვ. 13 – 18. რეზ. ინგლ. ენაზე.

მე-18 ს-ში მოღვაწე მოაზროვნის _ ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვრის მიერ ვიბორგის ციხიდან გამოგზავნილი ორი წერილი და ეპიტაფია, რომლებიც მისი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებს ასახავს. წერილები ქართული თარგმანით გამოაქვეყნა პ. გელეიშვილმა.

87. გიგინეიშვილი ლ. იოანე პეტრიწის ფილოსოფიის ზოგადი მიმოხილვა // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№4 . – გვ. 27 – 33; №5 . – გვ. 13 – 19.

88. გოლეთიანი რ. ადამიანის ბუნების წვდომა მხატვრული საშუალებებით // ფილოსოფიური ძიებანი . – 2002 . -№6 . – გვ. 374 – 379. რეზ. ინგლ. ენაზე.

ადამიანისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ურთიერთმიმართების საკითხი შალვა ნუცუბიძის ნაშრომებში : «ადამიანი «ვეფხისტყაოსანში» და მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური გარემო», «რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა», «რუსთაველი და მსოფლიო კულტურა».

89. გოლეთიანი რ. კ. კაპანელის სოციოლოგიური ორგანოტროპიზმი // ფილოსოფიური ძიებანი . – 2003 . -№7 . – გვ. 299 – 311. რეზ. ინგლ. ენაზე.

კონსტანტინე კაპანელის ორგანოტროპული სოციოლოგიის არსი და თავისებურებები, მისი ადგილი და როლი ფილოსოფიის ისტორიაში.

90. ედუარდ კოდუა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 278 – 279.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, სოციოლოგი. ნეკროლოგი.

91. თამაზ თავაძე _ საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, მთარგმნელი // ხატაური . – 2003 . -№1 (6) . – გვ. 62 – 64.

ინტერვიუ საქართველოს დღევანდელ ყოფასა და სულიერებისა და ზნეობის დეფიციტზე / ესაუბრა ლელა საღლიანი.

92. თევდორაძე გ. ერთი მოსაზრება ქართველი ეთნოსის ფენომენის თაობაზე // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 114 – 121.

ქართული მენტალიტეტის ჩამოყალიბების ასპექტების კვლევა.

93. თევზაძე გ. საუბარი გურამ თევზაძესთან // ფილოსოფიური განაზრებანი . – 2002 . -№2 . – გვ. 287 – 296.

ფილოსოფიისა და ფილოსოფოსის მცნების, ფილოსოფიის ისტორიის, ფილოსოფიური მოვლენისა და ტექსტის შესახებ. ინტერვიუ ჩაიწერა ინგა გრიგოლაშვილმა.

94. თოფურია ბ. პითაგორელთა ნააზრევის კვალი იოანე პეტრიწის «განმარტებაში» პროკლეს «თეოლოგიის საფუძვლებისათვის» // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2002 . -№3 . – გვ. 43 – 54.

XII ს-ში მოღვაწე ფილოსოფოსის _ იოანე პეტრიწის აზროვნება, პარალელის დადებნა პითაგორელთა მოძღვრებასთან.

95. თოფურია ბ. პითაგორელთა ნააზრევის კვალი იოანე პეტრიწის «განმარტებაში» პროკლეს «თეოლოგიის საფუძვლებისათვის» : III. სამი // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№1 . – გვ. 30 – 36.

ერთის სამსახეობად მოაზრება იოანე პეტრიწის «განმარტებაში»; სამობის არსებობა გეომეტრიაში, არითმეტიკასა და მუსიკაში.

96. კაპანელი ვ. ქართული კულტურა სოციალური ესთეტიკის თვალთახედვით // სკოლა და ცხოვრება . – 2002 . -№4 – 6 . – გვ. 98 – 115. რეზ. ინგლ. ენაზე. განხილულია ეროვნული კულტურის ფორმების ისტორიული ასპექტები, მისი იდეოლოგიურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული ტენდენციები.

97. კაპანელი ვ. ქართული კულტურა სოციალური ესთეტიკის თვალსაზრისით : (ისტორიული ტენდენცია) // სკოლა და ცხოვრება . – 2002 . -№7 – 9 . – გვ. 102 – 114.

98. ლობჯანიძე მ. კ. კაპანელის მსოფლმხედველობის სათავეების საკითხისათვის // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 149 – 155. რეზ. რუს. ენაზე.

კონსტანტინე კაპანელის მოღვაწეობის ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნისეული ნიჰილიზმი და სკეპტიციზმი.

99. მთიბელაშვილი თ. ენა და მერაბ მამარდაშვილის აზროვნება // ფილოსოფიური ძიებანი . – 2003 . -№7 . – გვ. 69 – 80. რეზ. ინგლ. ენაზე.

ენისა და დედაენის როლი და მნიშვნელობა მ. მამარდაშვილის ფილოსოფიური შემეცნების ფორმირებაში.

100. მჭედლიშვილი შ. სოლომონ დოდაშვილი – მგზნებარე ქართველი პატრიოტი, ეროვნული მოღვაწე და ფილოსოფოსი // ხატაური . – 2002 . -№1 (5) . – გვ. 52 – 53.

ცხოვრება და მოღვაწეობა.

101. ჩანტლაძე ლ. საზრისული ორიენტირები // ფილოსოფიური ძიებანი . – 2002 . -№6 . – გვ. 41 – 57. რეზ. ინგლ. ენაზე.

ცნება «საზრისის» მნიშვნელობა, ეთიკური კერპის მსხვერპლი აკაკი წერეთლის «გამზრდელში», ეროვნულ-პატრიოტული ღირებულებები ქართულ გონით სიტუაციაში.

102. ჩიტიშვილი ი. რენესანსის პრობლემის კვლევა ქართულ ფილოსოფიაში // ფილოსოფიური ძიებანი . – 2003 . -№7 . – გვ. 373 – 377.

რენესანსის არსებობა XI-XII სს-ის საქართველოში და შალვა ნუცუბიძის, შალვა ხიდაშელის, მიხეილ მახარაძის შეხედულებები.

103. ხეთაგური ლ. გურჯიევი და მსოფლიო კულტურა // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 110 – 115.

XX ს-ის უდიდესი მოაზროვნის – გიორგი გურჯიევის უნიკალური განათლების, საკრალური ისტორიის, თეოლოგიისა და ოკულტიზმის ღრმა ცოდნის, მის მიერ პირველად კაცობრიობის ისტორიაში ფიზიკური მომზადების სისტემის შექმნის (თრეინინგები თეატრალურ სამყაროში) შესახებ მისი ნაწარმოებების – «შეხვედრები ბრწყინვალე ადამიანებთან» და «ველზევულის საუბრები საკუთარ შვილიშვილთან» – მიხედვით.

104. Khintibidze Elguja. Philosophy In Georgia In The Middle Ages // Studi Suull'Oriente Cristiano . – 2001 . -№51 . – გვ. 153 – 163.

ფილოსოფიური მწერლობის (ეგრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი) განვითარება შუა საუკუნეების საქართველოში.

რელიგია

105. აღდამიძე თ. მეხუთე კოლონა საქართველოში . – თელავი, 2001 . – 24 გვ.

პასუხი ჟ. «არილის» 2000 წ.№12-ში გამოქვეყნებულ დ. ზურაბიშვილის სტატიაზე: «თავისუფლების საფრთხობელა» (იელოვას მოწმეები, როგორც თავისუფლების ინდიკატორი) და ნ. პაპუაშვილის გამოხმაურება ამ წერილზე. იელოვას მოწმის «რელიგიურ-თეოკრატიული» მრწამსი და საქმიანობა საქართველოში.

106. ვარდოსანიძე ს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917 – 1927 წლებში . – თბ. , 2000 . – 151 გვ.

ნაშრომში საარქივო მასალაზე დაყრდნობით წარმოჩენილია საქართველოს ეკლესიის ისტორია ავტოკეფალიის აღდგენიდან 1927 წლამდე. 1917 წლის საეკლესიო კრება, რუსეთის დროებითი მთავრობა და საქართველოს ეკლესიის საკითხი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დამოუკიდებელ საქართველოში და ბოლშევიკური მმართველობის პირველ წლებში; ეკლესიის საგარეო პოლიტიკა, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის პრობლემა და სხვ.

107. რელიგიურ სიტყვათა განმარტებანი : (ლექსიკონი) / შეადგ. ნ. აჭარაძემ . – თბ. , 2001 . – 351 გვ.

ნაშრომში შეტანილია რელიგიასთან დაკავშირებული მსოფლიო-ისტორიული მოვლენები, ცნობები და რელიგიურ პირთა სახელები.

108. რუხაძე გრ. ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის . – თბ. , 2000 . – 76 გვ.

იესო ქრისტე, როგორც ღმრთის შეუქმნელი ხატი და ადამიანი, როგორც ღმრთის შექმნილი ხატი. ტერმინების – ხატის, ხატისებრისა და პირმშო ხატის შინაარსის დადგენის მცდელობა.

109. საქართველოს საპატრიარქოს მოღვაწეობა 1997 – 2001 წლებში / [შემდგ : გ. აროშვილი, ზ. აროშვილი] . – თბ. , 2001 . – 48 გვ.

საქართველოს საპატრიარქოს სინოდის გადაწყვეტილების – ეკუმენისტურ მოძრაობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობის, ეკლესიათა საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან გამოსვლის შესრულების თაობაზე.

110. ქვრივიშვილი ო. სვეტიცხოვლის მისტერია . – თბ. , 2000 . – 429 გვ.

ქართული კულტურის ადგილი ზოგადსაკაცობრიო ისტორიაში. საქართველოს სულიერი ცხოვრების ძირითადი თავისებურებები. მცხეთის სვეტიცხოვლის ისტორია.

111. ცაცანაშვილი მ. სახელმწიფო და რელიგია . – თბ. , 2001 . – 90 გვ.

რელიგიური თავისუფლების რაობა, საკანონმდებლო გარანტიები, რელიგიური ორგანიზაციები, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის თანამედროვე მოდელები, რელიგიური თავისუფლების პოლიტიკური და სამართლებრივი მოდელი საქართველოში.

112. ცინცაძე ვ. ჩემი მოგონებებიდან . – თბ. , 2001 . – 240 გვ.

მასალები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან. წიგნი დაწერილია რუსულ ენაზე. ითარგმნა რ. კორძაიას, ნ. ჯოლოხავასა და ა. ბრეგაძის მიერ.

113. ჯაფარიძე ა. საქართველოს საეკლესიო კრებები . – თბ. , 2003.

წ. 1. : საკანონმდებლო კრებები XII-XX საუკუნეებში . – 2003 . – 431 გვ.

ამ პერიოდის საქართველოს საეკლესიო კრებების ანალიზი, მიღებული დადგენილებები და კანონიკური სამართლის ძეგლები.

წ. 2. : საქართველოს ეკლესიის მიმდინარე კრებები (IV – XVIII სს); მსოფლიო საეკლესიო კრებები ქართველ ეპისკოპოსთა მონაწილეობით . – 2003 . – 304 გვ.

IV_XVIII სს-ში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ საქართველოს საეკლესიო საკითხებისადმი მიძღვნილი 21 კრების ანალიზი და მათ მიერ გამოცემული საეკლესიო სამართლის ძეგლები.

წ. 3. : მიმდინარე კრებები (XIX – XX საუკუნეები) . – 2003 . – 352 გვ.

XIX_XX სს-ში შემდგარი 50 საეკლესიო კრების ანალიზი და მათ მიერ გამოცემული სამართლის ძეგლები.

114. ალექსიძე ზ. ქრისტიანობა და მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№3 . – გვ. 23 – 44.

115. ანდლულაძე ს. ვასილ კარბელაშვილის შეხედულებანი ქართული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცების საკითხზე // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 51 – 58. რეზ. ინგლ. ენაზე.

სამღვდელოების წარმომადგენლის – ვ. კარბელაშვილის მოღვაწეობა სასულიერო და სამრევლო სკოლებში, სადაც იგი ქართული ენის შესწავლის მკვიდრად დანერგვისა და რუსი ჩინოვნიკების მიერ გატარებული ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ იბრძოდა. მისი შეხედულებები და დამოკიდებულება მოზარდი თაობის ეროვნული თვითშეგნების აღზრდა-ჩამოყალიბების მიმართ.

116. ასე იწყებოდა.....// ქართული დროშა . – 2003 . – სექტემბერი-ოქტომბერი . – გვ. 6 – 8.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ბიოგრაფიული ცნობები და ღვაწლი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში.

117. გეგეშიძე დ. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია // ფილოსოფიური ძიებანი . – 2002 . -№6 . – გვ. 226 – 232. რეზ. ინგლ. ენაზე.

ცარიზმის მიერ 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტით საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება; ქართული საზოგადოების ბრძოლა მის აღსადგენად; 1817 წ. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნება და რუსული ეკლესიის მხრიდან შექმნილი დაბრკოლებები; ავტოკეფალიის სრული და შეუვალი აღდგენა 1990 წ. 24 იანვარს.

118. გეგეჭკორი ალ. იერუსალიმურ ლეგენდათა ციკლის ინტერპრეტაციისათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთში // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 87 – 93. რეზ. ინგლ. ენაზე.

იერუსალიმურ რელიგიურ-მისტიკურ ნაკადთან აღმოსავლურ-დასავლური ფენომენის მიმართების განხილვა მაცხოვრის სამოსელთან დაკავშირებული გადმოცემების ფონზე. ლეგენდების პარალელი მცხეთასა და ტირში. 119. გოისაშვილი ნ. ქართული საზოგადოების დამოკიდებულება სიონიზმის მიმართ : (მე-19 ს. დასასრულისა და მე-20 ს. დასაწყისის პრესის მიხედვით // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . - №17 . – გვ. 109 – 113. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართველი საზოგადო მოღვაწენი და საქართველოში მცხოვრები ეროვნული და რელიგიური უმცირესობები. მათი დამოკიდებულება ებრაელი ხალხისადმი.

120. გუგუშვილი გ. ნიკორწმინდის ეპარქია // ორნატი : საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა ცნობარი . – 2003 . -№1 . – გვ. 46 – 59.

რაჭის ისტორია, ტოპონიმ «რაჭის» ეტიმოლოგია, რაჭის ერისთავთა წარმომავლობა, ქრისტიანობის დამკვიდრება, წერილობით წყაროებში მოხსენიებული ქალაქ ფუსტისა და ფუსტელების ადგილმდებარეობის განსაზღვრა, ნიკორწმინდის ეპარქიის მღვდელმთავართა ნუსხა, ეპარქიის რუკა.

121. იუბილარი // ქართული დროშა . – 2003 . – სექტემბერი-ოქტომბერი . – გვ. 5.

2003 წლის 7 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მიერ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის გადაცემა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის.

122. კობახიძე თ. დიდება მართლისად : ათცამეტი სირიელი მამა // ხატაური . – 2002 . - №1 (5) . – გვ. 3 – 4.

ქრისტიანობის ჩამოყალიბება საქართველოში და წმ. მამათა მობრძანება ქართლში.

123. ლილუაშვილი მ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოკიდებულება დემოკრატიული მთავრობის სარწმუნოებრივი პოლიტიკისადმი // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 141 – 146. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული ეკლესიის ისტორიისა და სარწმუნოებრივ მეცნიერებათა შესწავლა, ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის დამკვიდრება უნივერსიტეტში 1918 – 1921 წლებში.

124. ლორთქიფანიძე მ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№10 . – გვ. 3 – 11.

125. ლურსმანაშვილი ლ. სასულიერო პირთა შესამოსელის – «ჩოხის» კონსტრუქციების კვლევა / ლ. ლურსმანაშვილი, კ. ანასაშვილი // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . -№7 (446) . – გვ. 221 – 223. რეზ. ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველოს მართლმადიდებელ სასულიერო პირთათვის რეკომენდებული სამოსის _ «ჩოხის» _ კონსტრუქცია.

126. მაღალყოვლადუსამღვდელოესი ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი ელისე // ორნატი : საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა ცნობარი . – 2003 . -№1 . – გვ. 65 – 66.

ბიოგრაფია (ერისკაცობაში ელდარ ჯოხაძე).

127. ნებიერიძე მ. ბოდბეს წმინდა ნინოს დედათა მონასტერი და სექტანტობა კახეთში : (XIX ს. მეორე ნახევარი) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 188 – 196. რეზ. ინგლ. ენაზე.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში, რომლის ერთ-ერთი სახე სექტანტური ელემენტისაგან თავის განთავისუფლება და ქართველთა ასეთი გზით რუსიფიკაცია იყო.

128. ნემსაძე ლ. მითი გრაალზე და მისი გავრცელების არეალი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავისტიკის ცენტრის შრომები . – 2003 . -№1 . – გვ. 70 – 80. რეზ. რუს., ინგლ., გერმ. ენებზე.

მითი გრაალზე და მისი ფილოლოგიური, ფილოსოფიური და ისტორიული კუთხით გაანალიზება (ზურაბ კიკნაძე, გრ. რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე).

129. ნიკორწმინდის ეპარქიის სამღვდელოება // ორნატი : საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა ცნობარი . – 2003 . -№1 . – გვ. 67.

ეპარქიის ეკლესია-მონასტრებისა და მმართველ მღვდელმთავართა ჩამონათვალი.

130. პავლიაშვილი ქ. რუსეთის სარწმუნოებრივი პოლიტიკა საზღვარგარეთ – «ბერძნულ-რუსული პანტელეიმონის პროცესი» და ათონის «ივირონის» საკითხი (XIX – XX სს. მიჯნა) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 134 – 140. რეზ. ინგლ. ენაზე.

რუსეთის იმპერიის ზრახვები ათონის ქართველთა «ივერიონისადმი», დაპირისპირება ბერძნულ ეკლესიასთან, რაც მსოფლიო ისტორიაში «ბერძნულ-რუსული პანტელეიმონის პროცესის» სახითარის ცნობილი. ქართველთა მონასტრის დაპატრონება ბერძნული ეკლესიის მიერ XIX ს-ის დასაწყისში.

131. პირველად, საუკუნეების შემდეგ : სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში // ახალი ხიდი . – 2003 . -№2 . – გვ. 12 – 15. პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე.

13 – 21 მაისს, მსოფლიო პატრიარქის ბართლომეოს პირველის მიწვევითა და ანკარაში საქართველოს საელჩოს დახმარებით.

132. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები // ორნატი : საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა ცნობარი . – 2003 . -№1 . – გვ. 12 – 45.

მცხეთა-თბილისის, ალავერდის, ახალქალაქისა და კუმურდოს, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის, ბათუმისა და სხალთის, ბოდბის, ბოლნისისა და დმანისის, ბორჯომისა და ბაკურიანის, ვანისა და ბაღდათის, ზუგდიდისა და ცაიშის, მანგლისისა და წალკის, მარგვეთისა და უბისის, მესტიისა და ზემო სვანეთის, ნეკრესისა და ჰერეთის, ნიქოზისა და ცხინვალის, რუსთავისა და მარნეულის, სამთავისისა და გორის, საგარეჯოსა და გურჯაანის, სტეფანწმინდისა და ხევის, ურბნისისა და რუისის, ფოთისა და სენაკის, ქუთაის-გაენათის, შემოქმედის, ცაგერისა და ლენტეხის, ცხუმ-აფხაზეთის, წილკნისა და დუშეთის, ჭიათურისა და საჩხერის, ჭყონდიდის, ხონის ეპარქიების მოკლე ისტორია. ახლავს რუკა.

133. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II : მოკლე ბიოგრაფია // ორნატი : საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა ცნობარი . – 2003 . -№1 . – გვ. 9.

134. ფანჯიკიძე თ. რელიგიურ უმცირესობათა სპექტრი // ფილოსოფიური ძიებანი . – 2002 . -№6 . – გვ. 254 – 259. რეზ. ინგლ. ენაზე.

XIX ს-ის დასაწყისში არაქართული მოსახლეობისგან შემდგარი პირველი რელიგიური სექტები. XX ს-ის 60_70_80-იან წლებში აღმოსავლური და სხვა მანამდე უცნობი რელიგიური მიმდინარეობების მიმდევრების მომრავლება. დღეს საქართველოში არსებულ რელიგიურ უმცირესობათა ფართო სპექტრი, პრობლემები და მართლმადიდებლური ეკლესიის როლი პრობლემის გადაჭრაში.

135. ქადაგიძე მ. წერილი ათონის ივერთა მონასტრიდან // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№6 . – გვ. 37 – 46.

ბერძნების გაბატონება ივერთა მონასტერში და ათონელი მამების გამოძევება (მე-19 ს-ის მე-2 ნახევარი); ვახტანგ ბარკალაიას მიერ (ბერი ბენედიქტე) იოანე

ღვთისმეტყველის სავანის დაარსება (1870 წ.) და ათონის მთაზე მიმოფანტული ქართველების შეკრება; ათონის მონასტრის მმართველის, მონაზონ იონას მიერ წევის ეკლესიის დეკანოზის მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძისადმი გაგზავნილი წერილი. აქვეა ცნობები წევის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ.

136. შენგელია რ. ღვთისა და ერის სათნო პიროვნება / რევაზ შენგელია, ნანა ოზბეთელაშვილი // ეკონომიკა . – 2002 . -№12 . – გვ. 107 – 110.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 25 და დაბადების 70 წლისთავი. მილოცვა.

137. ცაგარეიშვილი თ. «მიაშბეთ თქვენზე» // ახალი ხიდი . – 2003 . -№1 . – გვ. 26 – 30; პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების 70 და აღსაყდრების 25 წლისთავთან დაკავშირებული ტელეგადაცემის საჟურნალო ვარიანტი.

138. ცინცაბაძე მ. წმინდა ქეთევან დედოფლის სახის პრობლემატიკა XVII, XIX ს. დასაწყისის ქართული კულტურის შესწავლის კონტექსტში // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 79 – 86. რეზ. ინგლ. ენაზე.

139. ჭანტურია ტ. ღვთაებრივი შუქი // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№1 . – გვ. 17 – 18.

მილოცვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისადმი, დაბადების 70 და აღსაყდრების 25 წლისთავთან დაკავშირებით.

140. ხარანაული ა. ბიბლიის ქართული თარგმანების დედანი და კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№9 . – გვ. 26 – 37.

141. ჯუღელი ვ. გელათის კანტებიანი ბიბლიის სტრუქტურისა და წყაროთა საკითხისათვის // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2002 . -№4 . – გვ. 26 – 31.

«გელათის ბიბლიის» (XII ს.) ორი ხელნაწერის (A 1108 და Q 1152) შედარებითი ანალიზი და მათში წარმოდგენილი წინასწარმეტყველთა ცხოვრება.

142. Kharanauli A. Die Geschichten Bibel (Kurzer pberblick) // ორიენტალისტი . – 2003 - 2004 . – ტ. 2 . – გვ. 349 – 358. რეზ. ქართ. ენაზე.

ბიბლიის ქართულად თარგმნის ისტორიის მიმოხილვა V-VII საუკუნეებიდან დღემდე.

143. Kiknadze Z. Tre Volti Dell'Ascesi // Studi Sull'Oriente Cristiano . – 2000 . -№42 . – გვ. 29 – 40. ტექსტი იტალიურ ენაზე თარგმნა გაგა შურლაიამ.

სამონასტრო ცხოვრება საქართველოში.

144. Winkler G. pber Die Bedeutung Einiger Liturgischer Begriffe Im Georgischen Lektionar und Iadgari Sowie Im Armenischen Ritus // Studi Sull'Oriente Cristiano . – 2000 . -№41 . – გვ. 133 – 154.

ზოგიერთი ლიტურგიული ცნების მნიშვნელობა ქართულ ლექციონარში და იადგარში, ასევე სომხურ რელიგიურ რიტუალში: ქართული – «კანონი ჟამის წირვისას» და «სამხრად». მნიშვნელობა და პარალელი სომხურთან.

სოციოლოგია. სოციოგრაფია

145. კვიწინაშვილი ლ. ძალადობა თბილისის ქუჩებში // დრო მშვიდობისა . – 2001 . - №3 . – გვ. 14 (7) – 15 (2).

სოციალური მოვლენა ქართულ სინამდვილეში; ბანდიტიზმის გააქტიურების მიზეზები დღევანდელ საქართველოში.

146. კობახიძე მ. ქართველ თავად-აზნაურთა სოციალური ორიენტაციის საკითხისათვის // ფილოსოფიური ძიებანი . – 2002 . -№6 . – გვ. 150 – 155. რეზ. ინგლ. ენაზე.

XIX ს-ის ქართველ თავად-აზნაურთა სოციალური ორიენტაციის საკითხის კვლევა ონომასტიკურ ლიტერატურაზე დაყრდნობით.

147. ლუტიძე ბ. გლობალიზაცია, როგორც საყოველთაო ტენდენცია // ფილოსოფიური ძიებანი . – 2002 . -№6 . – გვ. 79 – 111. რეზ. ინგლ. ენაზე.

გლობალიზაციის საკითხები, მსოფლიოს ხალხთა კავშირ-ურთიერთობის ფორმები, გლობალურ ურთიერთობათა სფეროები, გლობალიზაციის წამყვანი ძალები, გლობალიზაცია და ეროვნული საკითხი. საქართველოში არსებული პრობლემების გადაჭრის პერსპექტივა გლობალიზაციის დახმარებით.

148. ნემსაძე ლ. «ანგარიშმიანი მწყემსი ქართველობის სიკეთისა» // ექო სახიერი . – 2003 . -№4 . – გვ. 6 – 10.

ნიკო ნიკოლაძის მღელვარე ცხოვრება, მუდმივად სამშობლოზე ზრუნვაში გაღებული სიცოცხლე.

149. ნიჟარაძე გ. ძველი ბიჭები // დრო მშვიდობისა . – 2001 . -№3 . – გვ. 5(9) – 6(4).

ძველი ბიჭის სახელით ცნობილი სოციალური ტიპი ქართულ საზოგადოებაში.

დემოგრაფია

150. ანთაძე ც. XX საუკუნის 90-იანი წლების სოციალურ-ეკონომიკური პროცესები და მათი გავლენა დემოგრაფიულ ტენდენციებზე საქართველოში // დემოგრაფია . – 2002 . -№1 (5) . – გვ. 63 – 69. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მაჩვენებლების ცვლილებები აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მათი ურთიერთდამოკიდებულება და გავლენის ხარისხი.

151. ახალაია ნ. გორის რეგიონის მოსახლეობის მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელთა შესახებ // ეკონომიკა . – 2003 . -№12 . – გვ. 139 – 143. რეზ. რუს. ენაზე.

გორის რეგიონის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 1970_2002 წლებში.

152. ახალაია ნ. შობადობის დონის საინდექსო ანალიზი // ეკონომიკა . – 2003 . -№ 11 . – გვ. 170 – 175. რეზ. რუს. ენაზე.

გორის რეგიონში შობადობის დონის საინდექსო ანალიზი 1970_2002 წწ-ში.

153. ბაკურაძე ა. ქუთაისის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა 1851_1915 წლებში // ეკონომიკა . – 2002 . -№8 – 9 . – გვ. 123 – 129. რეზ. რუს. ენაზე.

154. ბაკურაძე ა. ქუთაისის მოსახლეობის რიცხოვნობისა და ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელთა დინამიკა . – 2003 . -№12 . – გვ. 132 – 138. რეზ. რუს. ენაზე.

155. გოიშვილი ბ. გვაქვს კი ეთნოპოლიტიკა? // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№4 . – გვ. 17 – 21.

საქართველოში მცხოვრები ხალხების ურთიერთდამოკიდებულება თანამედროვე ეტაპზე.

156. იორდანოვი კ. არაკატეგორიული იმპერატივი // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№2 . – გვ. 10 – 13.

ბერძენთა დიასპორისა და ბერძნულ სათვისტომოთა კავშირის მოღვაწეობა. ბერძენთა საქართველოდან საბერძნეთში ემიგრირების მოტივები.

157. ლორთქიფანიძე ვ. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება / ვ. ლორთქიფანიძე, ა. თოთაძე // დემოგრაფია . – 2002 . -№1(5) . – გვ. 5 – 46. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველოს ტერიტორიაზე პირველყოფილი საზოგადოების განვითარების, დემოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების ანალიზი არქეოლოგიურ მონაცემებზე, ძველ ქართულ და უცხოურ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით.

158. სამადაშვილი ზ. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებლები // ეკონომიკა . – 2002 . -№1 – 2 . – გვ. 32 – 36. რეზ. რუს. ენაზე.

159. სახვაძე ა. სქესთა თანაფარდობის დამახასიათებელ მაჩვენებელთა შესახებ // დემოგრაფია . – 2002 . -№1 (5) . – გვ. 52 – 62. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული ანალიზი.

160. უმიკაშვილი ნ. დემოგრაფიული განვითარების თანამედროვე ტენდენციები საქართველოში / ნ. უმიკაშვილი, დ. ებანოიძე // საქართველოს პედიატრი . – 2000 . - №1 – 4 . – გვ. 15 – 22. რეზ. ინგლ. ენაზე.

შობადობის შემცირება, მკვდრადშობადობა, დღენაკლულთა, პერინატალური და ბინაზე სიკვდილიანობის მაჩვენებლები იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ქალთა კონსულტაციების მიერ არასრულყოფილი ყურადღება ექცევა ნაყოფის მდგომარეობას, გენეტიკურ კვლევას, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დახმარებას, პროფილაქტიკურ და სამკურნალო ღონისძიებებს.

161. უმიკაშვილი ნ. დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით / ნ. უმიკაშვილი, დ. ებანოიძე, მ. ცინცაძე // საქართველოს პედიატრი . – 2001 . -№1 – 4 . – გვ. 16 – 24. რეზ. ინგლ. ენაზე.

2000 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით.

162. ფირცხალავა გ. საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის «დემოგრაფიული ეფექტი» პოსტსაბჭოთა საქართველოში // დემოგრაფია . – 2002 . -№1 (5) . – გვ. 47 – 51. . – რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

დემოგრაფიული ვითარება, პრობლემები და ამოცანები.

163. ჩხეიძე თ. მიწა, სეპარატიზმი და დემოგრაფია // ეთნოპოლიტიკა . – 2002 . -№2 . – გვ. 10 – 16.

მესხეთსა და ქვემო ქართლში სომეხი და მომთაბარე მუსლიმანური მოსახლეობის ჩასახლების, მიწების გაყიდვის ფაქტები; საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების უარყოფითი გავლენა ეროვნულ ინტერესებსა და ქვეყნის ეკონომიკაზე.

პოლიტიკა

164. არჩვაძე ი. მშვიდობით, იარაღო – გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! (აფხაზეთში კონფლიქტის არსისა და მისი მოწესრიგების მოდელის შესახებ) . – თბ. , 2001 . – 24 გვ. პრობლემისადმი ნაშრომის ავტორის დამოკიდებულება.

165. გრიგალაშვილი ნ. ჩემი დარდი და ირონია . – თბ. , 2003 . – 765 გვ.

1990_2000 წწ. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ამსახველი პუბლიცისტური წერილების კრებული.

166. დარჩიაშვილი ლ. რჩეული : პუბლიცისტიკა. თეორიული კვლევები. ესეები. პირადი წერილები . – თბ. , 2001 . – 595 გვ.

მეცნიერის, პუბლიცისტის, სოციალ-დემოკრატის, ლადო დარჩიაშვილის ცხოვრება და ეროვნული მოღვაწეობა.

167. დაუშვილი ალ. სოსო ჯუგაშვილის ამბავი / [ტრილოგია] : წ. 1 : სოსელო . – თბ. , 2000 . – 168 გვ.

ი. ბ. სტალინის ბავშვობა და ყრმობა, მისი პიროვნების ფორმირების პროცესი.

168. დოღონაძე შ. საქართველო : გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამშრომლობისაკენ . – თბ. , 2002 . – 226 გვ.

ცნობები დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს აღიარებისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების, საქართველოში აკრედიტებული და საქართველოს მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებში წარგზავნილი პირველი ელჩებისა და დიპლომატიური წარმომადგენლების შესახებ.

169. დოღონაძე შ. საქართველო _ მსოფლიო თანამეგობრობის წევრი . – თბ. , 2000 . – 38 გვ.

ინფორმაცია დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოების მიერ საქართველოს აღიარებისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ.

170. ლაზარიაშვილი ჯემალ (გიორგი). ეროვნული იდეოლოგია და სახელმწიფო : (ზოგადი მიმოხილვა) . – თბ. , 2000 . – 68 გვ.

საქართველოს ისტორიისათვის დამახასიათებელი ეროვნული საკითხები და თავისებურებები.

171. ლალიაშვილი რ. ჩემი სოფელი საყულია სა-ყულ-ია. ნაწ. 2 (ეროვნული მოძრაობა საყულიაში) . – თბ. , 2005 . – 192 გვ.

1924-1937 წლების ეროვნული მოძრაობა და წყალტუბოს რაიონის სოფელი საყულია. ბოლშევიკური სტამბა. სტალინის, პაოლო იაშვილისა და დია ჩიანელის ჩამოსვლა საყულიაში. აქტივისტი რევოლუციონერები, ცნობილი პიროვნებები, რეპრესირებული და სოფლის მოამაგე ადამიანები.

172. მოსია ტ. პუბლიცისტური წერილები . – თბ. , 2005 . – 102 გვ. 1992 – 1993 წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენები. ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრები სოხუმსა (1983) და გროზნოში (1992 – 1993). მერაბ კოსტავას ღვაწლი და ამაგი მშობელი ერის წინაშე.

173. პერტაია დ. სტალინი – გზა ძალაუფლებისაკენ . – თბ. , 2000 . – 39 გვ.

იოსებ სტალინის ცხოვრების გზა; ბრძოლა ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად.

174. სიხარულიძე ი. სტალინი. I . – ბათუმი, 2001 . – 159 გვ.

იოსებ სტალინის ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები.

175. სუმბაძე დ. კონცეფცია ერის შესახებ : (ერის უფლებებისა და ღირსების შესახებ) . – თბ. , 2001 . – 46 გვ.

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ერის უფლებებისა და ღირსების შესახებ თეოლოგიურ-პოლიტიკური კონცეფციისძირითადი შტრიხები. აღიარებს რა თანამედროვე მსოფლიოს დაყოფას არა ცივილიზაციურ ბლოკებად, არამედ ერებად და ხალხებად, ერის ავტორისეული კონცეფცია გულისხმობს პიროვნებასთან ერთად ერის დამცავი სამართლებრივი მექანიზმის შემუშავებას.

176. ჯაფარიძე ა. ორი თეორია ქართველი ხალხის ჩამოყალიბების დროის შესახებ . – თბ. , 2003 . – 28 გვ.

ნაშრომში განხილულია XX ს. დასაწყისში რუსულ იმპერიულ სამეცნიერო სკოლებში ჩამოყალიბებული «ქართიზაციის» თეორია, რომელსაც იყენებენ სეპარატისტები საქართველოს კუთხეების მითვისების მიზნით.

177. ჯაფარიძე ა. რეგიონალიზმი შეაფერხებს ეროვნულ კონსოლიდაციას . – თბ. , 2002 . – 20 გვ.

ერებისა და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი და საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრინციპები.

178. არეშიძე მ. პანკისის პრობლემა : სუფთა ქართული გულგრილობა, უნიციტივიზაცია, არაკონკრეტულობა, საბოტაჟი.....// ახალი აზრი . – 2001 . -№3 . – გვ. 69 – 75.

ინტერვიუ ექსპერტთან პანკისის ხეობაში არსებულ პრობლემებზე, აფხაზეთის კონფლიქტსა და კავკასიის სხვა პრობლემატურ საკითხებზე / ესაუბრა ლევან ღირსიაშვილი.

179. არეშიძე მ. უამრავი აფხაზი საზღვარგარეთ ქართული პასპორტებით დადის // ახალი აზრი . – 2002 . -№4 . – გვ. 65 – 72.

ინტერვიუ აფხაზეთის კონფლიქტზე და ქართულ პოლიტიკაზე.

180. აფრასიძე დ. სამეცნიერო კვლევა საერთაშორისო ურთიერთობებში : (ევროკავშირი და სამხრეთ კავკასია) // ახალი აზრი . – 2002 . -№4 . – გვ. 14 – 24.

ევროპის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე სამხრეთ კავკასიის გავლენის ზოგადი განხილვა.

181. ბლუაშვილი უ. ადგილი ქართულ სახელმწიფოში // ეთნოპოლიტიკა . – 2002 . - №3 . – გვ. 3 – 16.

სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული სიტუაცია, თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული, ანტიქართული პოლიტიკის შედეგები, სომხების ჩამოსახლება, ხელოვნურად შექმნილი ეროვნული და სარწმუნოებრივი სიჭრელე, დღევანდელი მდგომარეობა, პოლიტიკური ორგანიზაცია «ჯავახქის» პროტენზიები და მოთხოვნები.

182. ბუაჩიძე დ. დემოკრატიზაციის პროცესი პოსტსაბჭოთა სივრცეში : (ლიტვისა და საქართველოს მაგალითზე) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 66 – 73. რეზ. ინგლ. ენაზე.

ამ ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის პრობლემური საკითხების განხილვა უახლესი პერიოდის ლიტვურ, ქართულ და რუსულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ საინფორმაციო მასალებსა და ანალიტიკურ პუბლიკაციებზე დაყრდნობით.

183. გალტუნგი ი. თანამშრომლობა კავკასიაში // დრო მშვიდობისა . – 2002 . -№5 . – გვ. 114 – 115.

ნორვეგიელი დოქტორის მიერ შემოთავაზებული მოდელი _ შეიქმნას უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის საბჭო, რომელსაც მოჰყვება კავკასიის

პარლამენტის დაარსება, საბოლოო შედეგი კი კავკასიის კონფლიქტების დამოუკიდებლად მოგვარება გახდება.

184. გეგეშიძე ნ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. მხარეთა ინტერესები. მოგვარების პერსპექტივა // ახალი აზრი . – 2002 . -№5 . – გვ. 62 – 67.

185. გელანტია რ. ვოლონტიორები აფხაზეთში, ანუ ვინ გვებრძოდა ქართველებს? // ეთნოპოლიტიკა . – 2002 . -№2 . – გვ. 23 – 36.

აფხაზეთის 1992 – 1993 წლის კონფლიქტში რუსეთის მოქალაქეებისა და ჩრდილოეთ კავკასიელთა მონაწილეობის შესახებ.

186. გელანტია რ. კიდევ ერთხელ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის განცხადების თაობაზე // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№5 – 6 . – გვ. 39 – 54.

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური კურსისა და კეთილი ნების დაფიქსირება აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების უზრუნველსაყოფად, ქვეყნის მოწყობის ახალი მოდელის ასახვა მოსკოვში, 1994 წლის 4 აპრილს მიღებულ დოკუმენტში.

187. გიორგაძე ვ. დანის პირზე სიარული : პრობლემები პანკისსა და კოდორში // ახალი აზრი . – 2001 . -№2 . – სექტ.-ოქტ. . – გვ. 58 – 66.

ამ ორ ხეობაში შექმნილი კონფლიქტების განვითარების თანმიმდევრობის მოკლე მიმოხილვა: კრიზისის სახეობის განსაზღვრა და მდგომარეობის გართულების ხელისშემწყობი ფაქტორები.

188. გიორგაძე ვ. ძალის პრიმატი წართმეულის დაბრუნებისას // ახალი აზრი . – 2001 . -№3 . – გვ. 61 – 68.

აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური ასპექტები: საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების შეცდომები და საკითხისადმი მცდარი მიდგომა, სეპარატისტების კოდორის ხეობისადმი ინტერესი, მიზნის მიღწევის სავარაუდო მეთოდები და ქართული მხარის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

189. გიორხელიძე დ. კონცეფტუალური მოსაზრებები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის შესახებ / დ. გიორხელიძე, პ. შეშელიძე // ქრისტიანული დემოკრატია . – 2003 . -№1 . – ნაკვ. 1 . – გვ. 9 – 23. რეზ. ინგლ. ენაზე.

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ორი შესაძლო გზა:
1. კონფლიქტის გაღრმავება და დამაბულობის შემდგომი ესკალაცია საომარი მოქმედების მომზადებისა და განხორციელების მიზნით;
2. აფხაზეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების მკვიდრთა, განსაკუთრებით კი აფხაზთა და დანარჩენ ქართველთა შორის უნდობლობის დაძლევა, საომარი განწყობილების შესუსტება და მშვიდობიან მოლაპარაკებათა გზით ყველა სადავო საკითხზე შეთანხმების მიღწევა.

190. გულუა ნ. ეთნოკონფლიქტი აფხაზეთში და მე-20 საუკუნის 90-იანი წლების პერიოდიკა // ეთნოპოლიტიკა . – 2002 . -№2 . – გვ. 37 – 47.

სეპარატისტული განწყობილება აფხაზეთში გამომავალი ქართული და რუსული პერიოდული გამოცემების მიხედვით.

191. დავითაშვილი კ. «მე არავის გუნდში არ მოვიაზრები!» // ახალი აზრი . – 2001 . - №2 . – გვ. 67 – 75.

ინტერვიუ პოლიტიკოს კობა დავითაშვილთან საქართველოში არსებულ ვითარებასა და საქართველოს მომავალზე / ინტერვიუს უძღვება ლევან ღირსიაშვილი.

192. დინუაშვილი ბ. მეოცე საუკუნის უდიდესი ადამიანი // ორბეთი . – 2001 . -№3 – 4 (8 – 9) . – გვ. 97 – 98.

იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

193. დოლიძე ლ. გაეროს სასოფლო-სამეურნეო პროგრამებისა და ფონდების საქმიანობის შესახებ საქართველოში // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 118 – 124. რეზ. რუს. ენაზე.

გაეროს შესაბამისი პროგრამებისა და ფონდების პრიორიტეტული მიმართულებები 1995 წლიდან. 194. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოში აფხაზეთის საკითხთა სპეციალური კომიტეტის შექმნის შესახებ // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . - №2 . – გვ. 35 – 36.

ინფორმაცია.

195. თურმანიძე თ. ბუფერული სახელმწიფოები : ცნება და რეალობა : ბუფერული სახელმწიფო – საქართველოს მაგალითი // ახალი აზრი . – 2002 . -№6 . – გვ. 15 – 17.

196. თურმანიძე თ. «სამხრეთ ოსეთის» კონფლიქტი : კონფლიქტის სათავეებთან : კონფლიქტის არსი : კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები // ახალი აზრი . – 2001 . -№1 . – გვ. 69 – 74.

197. კაციტაძე კ. სივრცის გაფართოება ობიექტური პროცესია // ეთნოპოლიტიკა . – 2002 . -№2 . – გვ. 55 – 58.

საუბარი პოლიტოლოგ კახა კაციტაძესთან ამერიკის სამხედრო ინსტრუქტორების საქართველოში მუშაობის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ.

198. კვესელავა ი. დისიდენტური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . -№2 . – გვ. 82 – 89.

1950-70-იანი წლები.

199. კლიმიაშვილი რ. სტატუსის პრობლემა ჩვენი გადასაწყვეტია // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№1 . – გვ. 14 – 17.

საუბარი პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილთან აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხებზე / ესაუბრა ქეთევან ჟღენტი.

200. კომახია მ. თურქეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში : თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები // ახალი აზრი . – 2001 . -№1 . – გვ. 39 – 44.

1992 – 2001 წლები.

201. კომახია მ. სამცხე-ჯავახეთი – პრობლემები და ინტერესები // ახალი აზრი . – 2002 . -№6 . – გვ. 60 – 71.

რეგიონში განვითარებული ისტორიული პროცესებისა და არსებული ვითარების ანალიზი, სომხური ნაციონალიზმის განვითარება და ავტონომიის მინიჭების მოთხოვნები, ახალქალაქის სამხედრო ბაზა, ეკონომიკური მდგომარეობა.

202. ლეკვეიშვილი გ. პოლიტიკა და ეთნოკულტურული პროცესები საქართველოში // ეთნოპოლიტიკა . – 2004 . -№1 . – გვ. 10 – 20.

ეროვნულ ურთიერთობათა საკითხები, მმართველობის საბჭოური მექანიზმის ანალიზი და დღევანდელი ვითარება.

203. მაზიაშვილი ნ. აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზებისა და მოგვარების გზების შესახებ // დრო მშვიდობისა . – 2002 . -№5 . – გვ. 37 – 47.

204. მაისურაძე ნ. ქართული პოლიტიკა და მისი მთავარი შემოქმედნი // ახალი აზრი . – 2001 . -№2 . – გვ. 47 – 57.

პოლიტიკოსების _ ე. შევარდნაძის, ზ. ჟვანიას, მ. სააკაშვილის, ა. აბაშიძისა და პოლიტიკური ძალების – „ახალი მემარჯვენეების», „ტრადიციონალისტთა კავშირის», „ლეიბორისტთა პარტიის», „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს» _ დახასიათება.

205. მაცაბერიძე მ. საქართველოს დემოკრატიზაციის პრობლემები და პერსპექტივები // ახალი აზრი . – 2001 . -№2 . – გვ. 39 – 46.

კორუმპირებულ-კლანური სისტემის ფორმირება საქართველოში და მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენები.

206. მელიქიშვილი ლ. ჩაითრევს თუ არა რუსეთი საქართველოს ჩეჩნეთის ომში // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№4 . – გვ. 10 – 16.

რუსეთისა და აშშ-ის სტრატეგიულ-გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოში, რუსეთის მიერ გავლენის შენარჩუნების მცდელობა, პანკისის ხეობაში მოსახლე ეთნოჯგუფები, ვაინახური ტომების (კერძოდ, ჩეჩნების) ჩამოსახლების ისტორია, ხეობაში მიმდინარე პროცესები.

207. მესხი ლ. დავიწყებული პრობლემა // ახალი აზრი . – 2001 . -№1 . – გვ. 60 – 68.

საქართველოს ტერიტორიების აღდგენის საკითხი, აფხაზეთის კონფლიქტი, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები, ურთიერთობის ხელისშემშლელი ფაქტორები და მოგვარების გზები.

208. მესხიშვილი გ. ეროვნული უსაფრთხოების სისტემის განვითარება პოსტსაბჭოთა საქართველოში // ახალი აზრი . – 2001 . -№3 . – გვ. 23 – 37.

209. მხეიძე მ. პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების რეიტინგი : (2002 წლის თებერვალში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები) // ახალი აზრი . – 2002 . -№4 . – გვ. 50 – 55.

ქ. თბილისში ჩატარებული გამოკვლევა.

210. ნადაშვილი ი. დილემა მეზობელი ქვეყნების ურთიერთობაში // ახალი აზრი . – 2002 . -№6 . – გვ. 54 – 59.

საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული სტრატეგიული თანამშრომლობა და აფხაზეთის კონფლიქტისადმი დამოკიდებულება. 1992 წლიდან ქ. სტამბოლში არასამთავრობო ორგანიზაციის სახით მოქმედი ე. წ. «კავკასიის სოლიდარობის კომიტეტის _ აფხაზეთის» საქმიანობა.

211. ნადირაშვილი შ. ეთნოფსიქოლოგია «ნევროტული ფუსფუსის» ფონზე // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№2 . – გვ. 3 – 7.

ეთნოფსიქოლოგიის ჩამოყალიბება, საქართველოში არსებული ეთნოკონფლიქტების მიზეზები და ეროვნული საკითხების კორექტული და სამართლიანი გადაწყვეტის გზები.

212. ნადირაშვილი შ. საქართველოს თავისუფალ ქვეყნად ჩამოყალიბების პრობლემები // დრო მშვიდობისა . – 2001 . -№3 (6) – 5 (1).

ჩამოთვლილი და განხილულია საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოდ ფორმირებისათვის გასათვალისწინებელი შვიდი საკითხი.

213. ნაკაშიძე ჯ. რუსეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ეტაპზე // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 163 – 168. რეზ. რუს. ენაზე.

რუსეთის ბუნებრივი ინტერესი კავკასიაში და არსებული პოლიტიკური პრობლემები ამიერკავკასიის ქვეყნებთან.

214. ოთხვანი ნ. კავკასიის ერთიანობის იდეა XX საუკუნის დასაწყისში // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 14 – 21. რეზ. ინგლ. ენაზე.

კავკასიის გეოპოლიტიკური მდგომარეობის განხილვა. რუსეთის ზეწოლის შესამსუბუქებლად რეგიონის ერთიანობის წინა პლანზე წამოწევა, რის აუცილებლობა რუსეთში განხორციელებულმა რევოლუციებმაც ცხადყო.

215. რეფაიდინ შაჰინ «ეს წოდება ყველაზე დიდი მემკვიდრეობაა, რასაც ჩემს შვილებს დავუტოვებ», განაცხადა საქართველოს საპატიო მოქალაქემ რეფაიდინ შაჰინმა // ახალი ხიდი . – 2003 . -№1 . – გვ. 20 – 25. პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე.

ინტერვიუ თურქ მოღვაწესთან საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზე, ქართული ჯარის მშენებლობაში თურქეთის როლზე, ედუარდ შევარდნაძის პიროვნებასა და ურთიერთმეგობრობის პერსპექტივებზე / ესაუბრა ერქემ დინდაროლი.

216. რეხვიაშვილი ს. ბოლშევიკური ეთნოპოლიტიკის ნიმუში // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№4 . – გვ. 32 – 39.

ქართველი ბოლშევიკების – ფ. მახარაძისა და ს. გეგეჭკორის რაზმების ხელშეწყობით ოსთა შეიარაღებული ბანდების მიერ 1919 წლის 6-7 და 11 იანვარს მოწყობილი, ჩრდილო კავკასიის დაბა ალაგირში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის გენოციდი.

217. რონდელი ალ. დამოუკიდებელი საქართველოს არჩევანი // ახალი აზრი . – 2001 . -№3 . – გვ. 5 – 22.

სტრატეგიული ორიენტაციის, ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებებისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების პროცესის ანალიზი (1990 – 2000 წწ.).

218. საპროგრამო განაცხადი : საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ძირითადი პრინციპები // ქრისტიანული დემოკრატია . – 2002 . -№4 . – გვ. 9 – 27. რეზ. ინგლ. ენაზე.

მიღებულია საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის VII ყრილობაზე (თბილისი, 2002 წლის 12 ნოემბერი).

219. სილაგაძე ე. საქართველოს მენშევიკური და ბოლშევიკური მთავრობის ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკის პარალელები // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 210 – 216. რეზ. ინგლ. ენაზე.

220. სოსელია // ორბეთი . – 2001 . -№3 – 4 (8 – 9) . – გვ. 103 – 105.

სტალინის პოეტური შემოქმედება. წერილს ერთვის ბელადის ყრმობისდროინდელი ლექსები.

221. ტოლიაშვილი ი. პასპორტები ... ინტერვენციისათვის // ეთნოპოლიტიკა . – 2002 . -№3 . – გვ. 39 – 41.

რუსეთის სახელმწიფო დუმის გადაწყვეტილება საემიგრაციო და საპასპორტო კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ; აფხაზი მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად მორიგი ღონისძიებების გატარება.

222. ურუშაძე ლ. კვლავ «მესხეთელი თურქების» შესახებ // ეთნოპოლიტიკა . – 2002 . -№3 . – გვ. 17 – 22.

დოკუმენტური მასალა 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებულთა ეროვნულ შემადგენლობასა და ორიენტაციაზე. საქართველოში მათი უპირობო რეპატრაციის საკითხი.

223. ღვინჯილია ჯ. ჩვენს თვალწინ ხდება ეს ყველაფერი : (მიმართვა საქართველოს ინტელიგენციას) // ორბეთი . – 2001 . -№1 – 2 (6 – 7) . – გვ. 27 – 28.

ქართველი ინტელიგენცია და ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა.

224. ყოლბაია ვ. დეკლარირებიდან რეალურ ნაბიჯებამდე // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№4 . – გვ. 3 – 9.

ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან, აფხაზეთის საკითხების მუდმივმოქმედი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე – ვ. ყოლბაიასთან კომისიის მიერ გაწეული მუშაობის, კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივის, აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, იქ მცხოვრები ქართველების მდგომარეობის, ეთნოკონფლიქტების დარეგულირების სახელმწიფო პროგრამის შესახებ / ესაუბრა ზ. თორია.

225. შეხვედრა თარჯიმანთან : თინათინ მილორავა : «ქარტია მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში აქცევს თარჯიმანს» // ექო სახიერი . – 2005 . -№6 . – გვ. 196 – 201.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საპარლამენტაშორისო ურთიერთობების განყოფილების თანამშრომელი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს პარლამენტის დელეგაციის მდივანი თინათინ მილორავა. საქმიანობა.

226. ჩიქოვანი პ. ევროკავშირის შექმნის ისტორია და საქართველოს პოლიტიკური მიზნები // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 197 – 203. რეზ. ინგლ. ენაზე.

227. ციხისთავი თ. მთავარია საერთო ფაქტორების გამოძებნა // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№1 . – გვ. 32 – 35.

საუბარი არასამთავრობო ორგანიზაციის – «მშვიდობიანი კავკასიის» პრეზიდენტ თამარ ციხისთავთან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საშუალებებზე / ესაუბრა ია მერკვილაძე.

228. ცქიტიშვილი ი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და გადაწყვეტის გზების თეორია // დრო მშვიდობისა . – 2002 . -№5 . – გვ. 20 – 35.

229. წერეთელი ი. საქართველო გლობალური მსოფლიოს ფონზე // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 40 – 46. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული საზოგადოების მდგომარეობის ანალიზი ცნობილი პოლიტოლოგის რობერტ აქსელროდის მოხსენებაში ჩამოყალიბებული ძირეული და აქტუალური პრობლემების ფონზე.

230. ხელაშვილი გ. რეგიონული თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში : უტოპიის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი // ახალი აზრი . – 2002 . -№4 . – გვ. 5 – 13.

კონფლიქტების მოუგვარებლობისა და თანამშრომლობის პროცესის ჩამორჩენილობის მიზეზები და თანამედროვე ფაქტორების შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთობებზე.

231. ხუბუა თ. მინდა ოპტიმისტი ვიყო // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№1 . – გვ. 7 – 13.

საუბარი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრ თამაზ ხუბუასთან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პროცესებთან

დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებათა პროცესების შესახებ / ესაუბრა ზურაბ თორია.

232. ჯალიაშვილი ჯ. ეკონომიკა – ყველაზე რეალური მოტივი // ეთნოპოლიტიკა . – 2001 . -№1 . – გვ. 18 – 23.

საუბარი პოლიტოლოგ ჯიმი ჯალიაშვილთან საქართველოში ეთნოკონფლიქტების დარეგულირების საშუალებებზე – ფედერალური მოწყობის პრინციპსა და ეკონომიკის როლზე პოლიტიკურ პროცესებში / ესაუბრა ხათუნა აჭარაძე.

233. ჯინორიძე ე. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გზების ძიებაში // დრო მშვიდობისა . – 2001 . -№2 . – გვ. 6 (2) – 6 (9).

ტერმინ «კონფლიქტის» განსაზღვრება, აფხაზეთის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, რუსეთის ინტერესები საქართველოში, მშვიდობიანი მოგვარების გზები.

234. Квициани Дж. Кавказ : Власть и общество на рубеже XX – XXI вв. // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები . – 2003 . -№17 . – გვ. 22 – 28. რეზ. ინგლ. ენაზე.

Результаты постсоветских демократических преобразований на Кавказе (1997 – 2001 гг.).

ეკონომიკა. მრეწველობა

235. კვარაცხელია მ. ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა : (ეროვნული და რეგიონული ეკონომიკის ურთიერთმიმართების დიალექტიკა) . – თბ. , 2001 . – 236 გვ.

საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონებისათვის ილია ჭავჭავაძის მიერ წამოყენებული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა.

236. ქოლინი პ. , ჯოლიფი ა. ინგლისურ-ქართული ფინანსური განმარტებითი ლექსიკონი : 9000 სიტყვა განმარტებებით . – [ად. არ], 2002 . – 504 გვ. პარალელ თავფ. ინგლ. ენაზე.

237. აბრალავა ა. ეკონომიკის ეროვნული საზღვრების პრობლემა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№4 . – გვ. 382 – 393.

სტატიაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე მსოფლიოს რუკაზე გაჩნდა ისეთი ეკონომიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულ საზღვრებს არ ემთხვევა. განვითარებულმა და ძლიერმა ეკონომიკამ შეიძლება მოახდინოს პოლიტიკური საზღვრების გადასინჯვა. ასეთ პირობებში საქართველოს მთელი ძალისხმევა საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა ხმარდებოდეს.

238. აბრალავა ა. ეროვნული მეურნეობის უსაფრთხო და მდგრადი განვითარება გლობალიზაციის ეპოქაში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№3 . – გვ. 159 – 171. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ეროვნულ ეკონომიკაზე გლობალიზაციის პროცესის გავლენა და გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია.

239. ავთანდილ სილაგაძე // ეკონომიკა . – 2002 . -№1 – 2 . – გვ. 116.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მილოცვა მისი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევის გამო.

240. არჩვაძე ი. საქართველოს ეროვნული სიმდიდრე პოსტსაბჭოთა პერიოდში // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 15 – 24. რეზ. რუს. ენაზე.

1990_2000 წწ. ეროვნული სიმდიდრის (მოსახლეობის ქონება, ბუნებრივი სიმდიდრე, ადამიანური კაპიტალი) მასშტაბური შემცირების მიზეზები.

241. არჩუაძე ე. ეკონომიკური რეფორმა და შიდა ქართლის რეგიონის ხილისა და ბოსტნეულის ქვეკომპლექსის განვითარება / ე. არჩუაძე, ვ. თანდიაშვილი, ზ. გოგოლაძე // ეკონომიკა . – 2002 . -№1 – 2 . – გვ. 53 – 59. რეზ. რუს. ენაზე.

242. ასათიანი ს. საერთაშორისო რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 186 – 191. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოსთვის აუცილებელი ეკონომიკური კავშირები სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებთან.

243. ასათიანი ს. საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხისათვის // ეკონომიკა . – 2002 . -№8 – 9 . – გვ. 138 – 142. რეზ. რუს. ენაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის დასახმარებლად ევროკომისიის მიერ გამოყოფილი გრანტების შესახებ.

244. აქუბარდია თ. საქართველოს საგადასახადო სისტემის საკანონმდებლო სრულყოფის გზები // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№4 . – გვ. 407 – 418. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

245. ბარათაშვილი ე. საქართველოს ჩაის მრეწველობის რეგიონული სტრუქტურის სრულყოფის საკითხისათვის / ე. ბარათაშვილი, ო. ფაჩულია // ეკონომიკა . – 2003 . - №11 . – გვ. 90 – 97. რეზ. რუს. ენაზე.

ჩაის მრეწველობის რეგიონულ სტრუქტურაში არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და რესტრუქტურის გაცარების აუცილებლობა.

246. ბარკალაია გ. მარკეტინგული საქმიანობა საქართველოს მრეწველობაში // ეკონომიკა . – 2002 . -№5 . – გვ. 162 – 166. რეზ. რუს. ენაზე.

მარკეტინგის მიზანი, პრაქტიკული გამოყენება და ფუნქციები მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ფონზე.

247. ბახტაძე ე. ტურისტული საწარმოების მარკეტინგული მაკროგარემო აჭარაში / ე. ბახტაძე, ნ. თოდუა // ეკონომიკა . – 2003 . -№11 . – გვ. 142 – 148. რეზ. რუს. ენაზე.

აჭარის მაკროგარემოს დემოგრაფიული ფაქტორები და ტურისტული საწარმოს საბაზრო შესაძლებლობები.

248. ბერკაცაშვილი ზ. საქართველო მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში // ეკონომიკა . – 2002 . -№10 – 11 . – გვ. 101 – 107. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საქართველოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესის დაწყება, მისი ჩართვა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში.

249. ბიწაძე ჯ. ადგილობრივი ბიუჯეტები ბიუჯეტთაშორის ურთიერთობათა სისტემაში // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2002 . -№4 . – გვ. 10 – 14.

ოპტიმალური საბიუჯეტო სისტემის შემუშავების აუცილებლობა საქართველოს ეკონომიკაში.

250. ბიწაძე ჯ. საბიუჯეტო კანონმდებლობისა და საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის საკითხები // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№8 . – გვ. 26 – 37.

ავტორი განიხილავს 1995 – 1999 წლებში საბიუჯეტო პოლიტიკაში არსებულ ნაკლოვანებებს, რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად, საქართველო ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა.

251. ბიწაძე ჯ. ტერიტორიული ფინანსები . – თბ. , [ბიბ-ში არ არის].

რეც. : შათირიშვილი ჯ. ზოგიერთი მოსაზრება ჯამბულ ბიწაძის მონოგრაფიის – «ტერიტორიული ფინანსების» შესახებ // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№4 . – გვ. 40 – 44.

252. გაბაიძე გ. საბაზრო ეკონომიკა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მდგომარეობა აჭარაში / გ. გაბაიძე, ე. ფუტკარაძე, ნ. დევაძე // ეკონომიკა . – 2002 . -№5 . – გვ. 92 – 95. რეზ. რუს. ენაზე.

აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენცია 1995 წლიდან დღემდე.

253. გაგნიძე ნ. შაქრის ჭარხლის წარმოება-გადამუშავების ინტეგრაციის სრულყოფისათვის // ეკონომიკა . – 2002 . -№8 – 9 . – გვ. 59 – 65. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოში შაქრის მრეწველობის განვითარება და პრობლემები.

254. გადელია დ. სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და ტენდენციები // ეკონომიკა . – 2002 . -№12 . – გვ. 34 – 41. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

255. გელაშვილი ს. მარკეტინგული კვლევა მეღვინეობის განვითარების სამსახურში // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 137 – 140. რეზ. რუს. ენაზე.

დარგობრივი მარკეტინგული კვლევის განვითარების აუცილებლობა საქართველოში, როგორც ღვინის წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობა.

256. გელაშვილი ს. ღვინის ბაზრის რეგულირების მიმართულებები // ეკონომიკა . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 64 – 69. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საბაზრო ურთიერთობის საფუძველზე თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები მევენახეობა-მეღვინეობაში და პრობლემების დაძლევის პერსპექტივები.

257. გვენეტაძე ლ. ბიუჯეტის მართვის ზოგიერთი პრობლემები პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში : (საქართველოს მაგალითზე) // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№3 . – გვ. 234 – 247. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

258. გორხელიძე დ. ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის შესახებ // ქრისტიანული დემოკრატია . – 2002 . -№3 . – გვ. 9 – 41.

საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი ბოლო სამი წლის მონაცემების მიხედვით, ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი მდგომარეობა და კრიზისიდან გამოსვლის გზები.

259. გოლეთიანი თ. ჩაის მეურნეობა – აგრარული ეკონომიკის საფუძველი // ეკონომიკა . – 2003 . -№3 – 4 . – გვ. 77 – 84. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველოში ჩაის მეურნეობაში არსებული კრიზისი და ამ კრიზისიდან გამოსასვლელად სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა.

260. გუნია თ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველო : ცხრაწლიანი თანამშრომლობის შედეგები // ახალი აზრი . – 2002 . -№6 . – გვ. 43 – 47.

261. დონდოლაძე ზ. მცირე მეწარმეობის განვითარება კაპიტალურ მშენებლობაში : (ქ. ფოთის მაგალითზე) // ეკონომიკა . – 2002 . -№1 – 2 . – გვ. 93 – 98. რეზ. რუს. ენაზე.

262. ერქომაიშვილი გ. ბიზნესის აღმოცენება და განვითარება საქართველოში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . - №4 . – გვ. 349 – 368. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ნაშრომში მოცემულია მეწარმეობის, ბიზნესის განვითარების პერიოდიზაცია და ეტაპები: 1. ბიზნესის წარმოშობის ეტაპი, რომელიც სათავეს მონათმფლობელური წყობილებიდან იღებს; 2. ბიზნესის გამოცოცხლების პერიოდი (XIX ს. 30-იანი წლების შემდგომ); 3. საბჭოურ პერიოდში არსებული ბიზნესი; 4. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი.

263. ვანიშვილი მ. მუნიციპალური ფინანსური მართვის და ბიუჯეტშორისი რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . -№7 (446) . – გვ. 225 – 229. რეზ. ქართ. და რუს. ენებზე.

განხილულია ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობის რეალური უზრუნველყოფა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ფინანსური ბაზის განმტკიცება და რაციონალური გამოყენება, საბიუჯეტო რეგულირების სრულყოფა სახელმწიფო შემოსავლების წყაროების განაწილებით და სხვ.

264. ზარანდია ჯ. საბიუჯეტო ფედერალიზმის სრულყოფის გზები საქართველოში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . – №4 . – გვ. 419 – 431. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

სტატიის მიზანია «საბიუჯეტო ფედერალიზმის», როგორც მრავალასპექტიანი და რთული მექანიზმის კვლევა და მის საფუძველზე «ცენტრსა» და «რეგიონს» შორის ფუნქციონირება და უფლებამოსილებათა გამიჯვნა.

265. ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები . – თბ. , 2003 . – 176 გვ.

რეც. : ჯულაყიძე, გ. მნიშვნელოვანი გამოკვლევა საქართველოს რეგიონული ეკონომიკის განვითარების აქტუალურ საკითხებზე // ეკონომიკა . – 2003 . -№11 . – გვ. 205 – 207.

266. ზესაშვილი თ. ადგილობრივი ინვესტიციების როლი სენაკის რაიონის მეჩაიეობის განვითარებაში // ეკონომიკა . – 2003 . -№9 – 10 . – გვ. 122 – 127.

სენაკში ჩაის წარმოებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა და ჩაის პლანტაციების შენარჩუნებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

267. ზვიადაძე ე. სოიის წარმოების განვითარების როლი საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 98 – 102. რეზ. რუს. ენაზე.

268. თავართქილაძე ა. დამოუკიდებელი საქართველოს გადასახადების თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი ისტორიული ასპექტი // ეკონომიკა . – 2003 . -№12 . – გვ. 122 – 131. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების კანონზომიერებები და ეტაპები.

269. თავართქილაძე ა. საქართველოს დამოუკიდებელი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების კანონზომიერებანი და წინააღმდეგობები // ეკონომიკა . – 2003 . -№9 – 10 . – გვ. 109 – 114. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებული პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის მთლიან ფისკალურ და საგადასახადო პოლიტიკას.

270. თავართქილაძე ა. საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების ზოგიერთი საკითხი : (1990 – 1997 წწ.) // ეკონომიკა . – 2003 . -№9 – 10 . – გვ. 172 – 178. რეზ. რუს. ენაზე.

271. თევზაძე ზ. ტრანსპორტის ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასებები საქართველოში // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 125 – 131. რეზ. რუს. ენაზე.

272. თურნავა ნ. მარკეტინგის როლი საქართველოს რეგიონებში საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში / ნ. თურნავა, ნ. ქოქოსაძე // ეკონომიკა . – 2002 . - №1 – 2 . – გვ. 48 – 52. რეზ. რუს. ენაზე.

273. იმედაშვილი ა. მოკლე დროის დიდი გზა : შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ისტორიიდან // ახალი ხიდი . – 2003 . -№2 . – გვ. 6 – 11. პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე.

აღნიშნული ორგანიზაციის (ლათინური აბრევიატურა-ბისეკი) მოღვაწეობა. დაარსების 10 წლისთავის გამო.

274. კაკაბაძე ვ. საგარეო ვაჭრობის რეგულირების საკითხები საქართველოში / ვ. კაკაბაძე, დ. ქართველიშვილი // ეკონომიკა . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 5 – 11. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საგარეო ვაჭრობის რეგულირების პოლიტიკის წარმოება XX ს-ის 90-იან წლებსა და XXI ს-ის პირველ წლებში.

275. კაციტაძე ვ. საბანკო დეპოზიტების დაზღვევის პერსპექტივები საქართველოში // ეკონომიკა . – 2002 . -№12 . – გვ. 29 – 33. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

276. კოლუაშვილი პ. სასურსათო პრობლემა საქართველოში და მისი ძირითადი მახასიათებლები // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№1 – 2 . – გვ. 90 – 100. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

მოცემულია ამ მდგომარეობის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები. გაკეთებულია დასკვნები აგროსამრეწველო კომპლექსის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების, დარგთაშორისი და შიდადარგობრივი ეკონომიკური კავშირების აღდგენის აუცილებლობაზე.

277. კოლუაშვილი პ. სურსათის წარმოების რეგიონალური ორიენტირები საქართველოში / პ. კოლუაშვილი, პ. გიორგაძე // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№1 – 2 . – გვ. 3 – 12. რეზ. ქართ. და რუს. ენებზე.

რეგიონულ ჭრილში სურსათით უზრუნველყოფის არსებული მაჩვენებლების შეფასება და მის საფუძველზე სამამულო წარმოების ცალკეული სახის სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის პროგნოზული პარამეტრების დადგენა.

278. ლაფაჩი ა. მცირე ბიზნესი შიდა ქართლის საკონსერვო მრეწველობაში // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 146 – 148. რეზ. რუს. ენაზე.

279. ლეიაშვილი გ. ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის სახელმწიფო მართვის მოდელის შესახებ / გიორგი ლეიაშვილი, პაატაცაგარეიშვილი // ეკონომიკა . – 2002 . - №12 . – გვ. 92 – 98. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

280. ლობჯანიძე გ. საქართველოს სამთო მრეწველობის განვითარების პროგნოზის შესახებ // ეკონომიკა . – 2002 . -№5 . – გვ. 117 – 119. რეზ. რუს. ენაზე.

281. ლობჯანიძე გ. უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს სამთო მრეწველობაში // ეკონომიკა . – 2002 . -№3 – 4 . – გვ. 63 – 68. რეზ. რუს. ენაზე.

მინერალური რესურსების ათვისების საქმეში უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა-შესაძლებლობები და მათი მოზიდვის საშუალებები.

282. მექვაბიშვილი ე. ღრმა ფესვები. საქართველო-თურქეთის სავაჭრო ეკონომიკური კავშირები // ახალი ხიდი . – 2003 . -№1 . – გვ. 13 – 17. პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე. ისტორიული მიმოხილვა და თანამედროვეობა.

283. მიქაშავიძე ვ. აჭარის საშენ მასალათა მრეწველობა ეკონომიკური რეფორმის პირობებში // ეკონომიკა . – 2002 . -№8 – 9 . – გვ. 46 – 49. რეზ. რუს. ენაზე.

284. მიქაძე მ. სამცხე-ჯავახეთი 1870-იანი წლების დასასრულიდან 1921 წლამდე // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . -№2 . – გვ. 42 – 47. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

მრეწველობის, კერძოდ ხე-ტყის წარმოებისა და კაპიტალიზმის განვითარების დაბალი დონის მიზეზები აღნიშნულ რეგიონში.

285. მოდებაძე პ. საქართველოში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის სრულყოფის მიმართულებები // ეკონომიკა . – 2003 . -№11 . – გვ. 10 – 17. რეზ. რუს. ენაზე.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის შემუშავებისა და რეალიზაციის აუცილებლობა.

286. მოსიაშვილი ვ. საქართველოს ეკონომიკური პროგრესის პროგნოზული პარამეტრები და მათზე ზემოქმედების მექანიზმი // ეკონომიკა . – 2002 . -№ 1 – 2 . – გვ. 26 – 31. რეზ. რუს. ენაზე.

ეკონომიკური დინამიკის პროგნოზული პარამეტრების განსაზღვრა 2010 წლისათვის.

287. მურჯიკნელი მ. ბიუჯეტი და ჯანდაცვის რეფორმა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№3 . – გვ. 149 – 158. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ადგილობრივი ექსპერტებისა და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული პოლიტიკური მიმართულებები საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის რეორგანიზაციისა და გაჯანსაღებისათვის.

288. მუჩიაშვილი მ. ფისკალური სფეროს რეფორმები საქართველოში // გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . -№2 . – გვ. 146 – 151. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქვეყანაში არსებული ღრმა საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისი და ფისკალურ სფეროში სისტემური რეფორმების განხორციელება: რეფორმები შემოსავლების სფეროში, რეფორმები ხარჯების პოლიტიკაში.

289. ნადარაია ო. ეკონომიკური გლობალიზაციის სამი ძირითადი კომპონენტი : (ტრანსნაციონალური კორპორაციები – პროცესის ძირითადი წარმმართველი სუბიექტები) // ახალი აზრი . – 2002 . -№4 . – გვ. 25 – 40.

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების, ცოდნისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერის მაგალითები და საერთაშორისო ვაჭრობა საქართველოში.

290. ნადიბაიძე ნ. საქართველოს საინვესტიციო გარემო გარდამავალ პერიოდში // ეკონომიკა . – 2003 . -№11 . – გვ. 149 – 156. რეზ. რუს. ენაზე.

არსებული პრობლემები და მათი დაძლევა უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, რისთვისაც საჭიროა ნორმალური საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბება.

291. ნათბილაძე ნ. საქართველოს ხის დამმუშავებელი მრეწველობის წარმოშობისა და განვითარების საკითხისათვის // ეკონომიკა . – 2003 . -№12 . – გვ. 90 – 94. რეზ. რუს. ენაზე.

ხის დამმუშავების მაჩვენებლები საქართველოში და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მდგომარეობა 1926 წელს. ხე-ტყისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის მიერ გამოშვებული ძირითადი სახის პროდუქცია 1940–1985 წწ-ში.

292. ნარიშანიძე ც. საქართველოს სათბობი მრეწველობის სანედლეულო ბაზა : მდგომარეობა და პერსპექტივები // ეკონომიკა . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 81 – 84. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ტყიბულ-შაორისა და ტყვარჩელის ქვანახშირისა და ახალციხის მურა ნახშირის საბადოები და მათი მარაგი.

293. ობოლაძე დ. საქართველოს ეკონომიკის წარსული, აწმყო და მომავალი // გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . -№2 . – გვ. 136 – 141. რეზ. ინგლ. ენაზე.

პრობლემები და პერსპექტივები.

294. ორჯონიკიძე ნ. ქართველი ეკონომისტები ქვეყნის დარაიონებისა და რაიონული განვითარების შესახებ // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 64 – 68. რეზ. რუს. ენაზე.

სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, ვახუშტი ბაგრატიონისა და თანამედროვე ეკონომისტების მოსაზრებანი ქვეყნის რეგიონალური განვითარების შესახებ.

295. ოქროჯანაშვილი კ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი როლი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებაში // ახალი აზრი . – 2001 . -№1 . – გვ. 32 – 36.

296. პაპავა ვლ. აკადემიკოს ავთანდილ გუნიას 90 წელი შეუსრულდებოდა / ვლ. პაპავა, გ. წერეთელი // ეკონომიკა . – 2002 . -№8 – 9 . – გვ. 153 – 156.

ეკონომისტ ა. გუნიას ცხოვრება, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

297. პაპავა ვლ. «მსოფლიო ახალი სამპოლუსიანი სავალუტო სისტემის» ჩამოყალიბება და საქართველო / ვლ. პაპავა, ვ. ჩოჩელი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№3 . – გვ. 123 – 148. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

საერთო ევროპული ვალუტის ევროს შემოღების შედეგად აშშ დოლარის შედარებითი გაუფასურების დადებითი და უარყოფითი მომენტები საქართველოს ეკონომიკისთვის.

298. პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა . _ თბ. , 2002 . _ 526 გვ.

რეც. : გველესიანი რ. თანამედროვე ეკონომიკური პრობლემების ნოვატორული გამოკვლევა // ეკონომიკა . – 2003 . -№7 – 8 . – გვ. 130 – 145.

299. ჟოჟუაშვილი ნ. ადგილობრივი ბიუჯეტის როლი და მნიშვნელობა საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში // ეკონომიკა . – 2002 . -№ 5 . – გვ. 80 – 84. რეზ. რუს. ენაზე.

300. რუსიაშვილი გ. მცირე მეწარმეობის ფინანსური უზრუნველყოფის ამოცანები // ეკონომიკა . – 2002 . -№10 – 11 . – გვ. 90 – 100. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

სახელმწიფოს მხრიდან მცირე მეწარმეობის სუბიექტების საბიუჯეტო-ფინანსური უზრუნველყოფის რამდენიმე ასპექტში განხილვა.

301. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში / საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. III, გ. წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ. , 2003 . _ 556 გვ.

რეც. : ჩომახიძე, დ. მნიშვნელოვანი გამოკვლევა // ეკონომიკა . – 2003 . -№9 – 10 . – გვ. 179 – 180.

302. სამადაშვილი გ. საქართველოში დოლარიზაციის მაღალი დონის შედეგად წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 176 – 181. რეზ. რუს. ენაზე.

303. სამადაშვილი ზ. საბაზრო ეკონომიკის ინდიკატორები სტატისტიკის სამსახურში: (ქ. თბილისის მაგალითზე) // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 39 – 42. რეზ. რუს. ენაზე.

თბილისის როლი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პროცესში; საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალაქის პერსპექტიულ განვითარებას.

304. სამადაშვილი უ. ხელფასების ეტაპობრივი ზრდა – ეროვნული მეურნეობის აღმშენებლობის მნიშვნელოვანი ფაქტორი // ეკონომიკა . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 5 – 10. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველოში მინიმალური ხელფასის მომატების თანმდევი დადებითი და უარყოფითი შედეგების გაანალიზება-შეჯერება.

305. სარჯველაძე ე. ინოვაციების როლი კონკურენტუნარიანი ღვინოების წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში // ეკონომიკა . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 78 – 82. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ღვინის პროდუქციის წარმოება და მისი რეალიზაციიდან მოგების მიღების პრობლემების დაძლევის გზები.

306. სეფაშვილი ე. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და საქართველო // ახალი აზრი . – 2001 . -№1 . – გვ. 26 – 31.

ამერიკულ ფონდ «მემკვიდრეობის» მიერ გამოთვლილი საქართველოს 1996 – 2001 წწ. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მონაცემებისა და მაჩვენებლების თაობაზე.

307. სოხაძე ვ. საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ზოგიერთი საკითხი // ეკონომიკა . – 2003 . -№12 . – გვ. 14 – 18. რეზ. რუს. ენაზე.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების ევოლუცია, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პროცესში.

308. სხირტლაძე ა. პაატა გუგუშვილი – მრავალმხრივი მოღვაწე // ეკონომიკა . – 2002 . -№8 – 9 . – გვ. 157 – 160.

მოგონებები ეკონომისტ პ. გუგუშვილზე.

309. ტყეშელაშვილი გ. საქართველოს ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ძირითადი მიმართულებები // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . -№3 (442) . – გვ. 128 – 131. რეზ. ქართ. , რუს. და ინგლ. ენებზე.

ნაჩვენებია ეკონომიკური კრიზისის წარმოშობის ძირითადი მიზეზები, განხილულია ბოლო წლების ცალკეული საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები, დასახულია კრიზისიდან გამოსვლის გზები.

310. ტყეშელაშვილი გ. საქართველოს მრეწველობის კრიზისის ძირითადი მიზეზების შესახებ / გ. ტყეშელაშვილი, ნ. დიდიშვილი // ეკონომიკა . – 2002 . -№8 – 9 . – გვ. 70 – 78. რეზ. რუს. ენაზე.

311. ტყეშელაშვილი გ. საქართველოს მრეწველობის მიკროეკონომიკური მართვის ეფექტიანობის ამადლების გზები / გ. ტყეშელაშვილი, ნ. დიდიშვილი // ეკონომიკა . – 2003 . -№3 – 4 . – გვ. 117 – 120. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მრეწველობაში არსებული კრიზისის დაძლევის გზები: მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და პროდუქციის რეალიზაციის საკითხები.

312. უფლისაშვილი გ. რესტრუქტურისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა სამრეწველო საწარმოებში // ეკონომიკა . – 2002 . -№6 – 7 . – გვ. 141 – 145. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველოს მაგალითზე.

313. ფაჩულია ო. საქართველოში ჩაის მრეწველობის ძირითადი სოციალური შედეგები და კანონზომიერებები // ეკონომიკა . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 37 – 40. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან განვითარებული ნეგატიური მოვლენების უარყოფითად ასახვა ჩაის მრეწველობაზე. სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური საფინანსო-ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა.

314. ფეიქრიშვილი მ. ბათუმის ახალი ნავსადგურის პერსპექტივები // ეკონომიკა . – 2002 . -№3 – 4 . – გვ. 74 – 79. რეზ. რუს. ენაზე.

ტრასეკას პროექტის მონაცემების მიხედვით.

315. ფუტკარაძე რ. საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა // ეკონომიკა . – 2002 . -№12 . – გვ. 99 – 106. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

316. ფუტკარაძე რ. საქართველო-გერმანიის თანამშრომლობა მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში // ეკონომიკა . – 2003 . -№3 – 4 . – გვ. 121 – 126. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

გერმანიის მხარდაჭერა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის და შემდგომი პერსპექტივები.

317. ფუტკარაძე რ. საქართველო-გერმანიის თანამშრომლობა საფინანსო და ტექნიკურ სფეროებში // ეკონომიკა . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 89 – 94. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1992 წ. გერმანიასა და საქართველოს შორის ტექნიკური, ხოლო 1993 წ. ფინანსური თანამშრომლობის დამყარება. ამ თანამშრომლობის მნიშვნელობა საქართველოსათვის.

318. ქარჩავა ნ. საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესები და საგარეო ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები / ნ. ქარჩავა, ვ. კაკაბაძე // ეკონომიკა . – 2003 . -№11 . – გვ. 18 – 27. რეზ. რუს. ენაზე.

319. ქაჯაია ვ. იმერეთის საბანკო სისტემა თანამედროვე ეტაპზე : პრობლემები და პერსპექტივები // ეკონომიკა . – 2002 . -№10 – 11 . – გვ. 33 – 39. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

320. ქებულაძე ვ. კიტა აბაშიძე ქუთაისის საადგილმამულო (სათავადაზნაურო) ბანკის შესახებ // ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები : ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1 . – 2001 . -№2 (36) . – გვ. 209 – 216. რეზ. ინგლ. ენაზე.

კრიტიკოსის, ლიტერატურათმცოდნის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის შეხედულებანი საადგილმამულო ბანკის შესახებ.

321. ქვეყნის აღორძინების საწინდარი : საქართველოში გაიჭრა დიდი ნავთობსადენის მშენებლობის ბალავარი // ახალი ხიდი . – 2003 . -№2 . – გვ. 3 – 5. პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე.

თეთრწყაროში გამართული «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის» ნავთობსადენის მშენებლობის ბალავარის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალი.

322. ლუდუშაური ზ. თბილისში მცირე ბიზნესის განვითარებას მუნიციპალიტეტის აქტიური თანადგომა სჭირდება / ზ. ლუდუშაური, ე. ბალიაშვილი // ეკონომიკა . – 2003 . -№9 – 10 . – გვ. 154 – 158. რეზ. რუს. ენაზე.

თბილისში ეკონომიკის მცირე სექტორის – მცირე ბიზნესის არასახარბიელო მდგომარეობა და მისი გამოსწორების პერსპექტივები.

323. შენგელია მ. მარკეტინგის თავისებურებანი სამამულო ბიზნესში / მ. შენგელია, ნ. თოდუა // ეკონომიკა . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 83 – 88. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მარკეტინგის ძირითადი პრინციპების პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვის როლი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაში.

324. შიხაშვილი გ. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციისა და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ბიბლიური გააზრება // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№3 . – გვ. 248 – 275. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ავტორის აზრით, ბიბლიურ სწავლებაზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავება-განხორციელება შექმნის მყარ გარანტიას საქართველოს რეალური საზოგადოებრივი პროგრესისათვის.

325. ჩეჩელაშვილი მ. გარდამავალი ეკონომიკა და სტრუქტურული გარდაქმნები ქვემო ქართლის რეგიონში // ეკონომიკა . – 2003 . -№7 – 8 . – გვ. 67 – 74. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ქვემო ქართლის რეგიონის გარდამავალი ეკონომიკისა და სტრუქტურული გარდაქმნის გზები.

326. ჩიტაძე ნ. ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანი და საქართველო // ახალი აზრი . – 2002 . -№6 . – გვ. 33 – 42.

არქეოლოგიური მასალა და ისტორიული ცნობები «დიდი აბრეშუმის» სავაჭრო გზაზე და მის მნიშვნელობაზე საქართველოსათვის. თანამედროვე «აბრეშუმის გზის» მოკლე ისტორია და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ეგიდით გათვალისწინებული პროექტები.

327. ჩიტაძე ნ. კასპიის სანავთობო პროექტები და საქართველოს მომავალი // ახალი აზრი . – 2001 . -№2 . – გვ. 28 – 36.

328. ჩიტაძე ხ. საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის პრიორიტეტები // ეკონომიკა . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 25 – 29. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

XX ს-ის 90-იან წლებში საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებული პრობლემები და ძირეული ცვლილებების აუცილებლობა.

329. ჩიქავა ლ. პროფესორი გიორგი პაპავა 80 წლისაა // ეკონომიკა . – 2002 . -№12 . – გვ. 111 – 114.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. ცხოვრების გზა.

330. ჩომახიძე დ. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები . _ თბ. , 2002.

რეც. : ლემონჯავა პ., ნათენაძე შ. გამოკვლევა საქართველოს პოტენციალის შესახებ // ეკონომიკა . – 2003 . -№1 – 2 . – გვ. 111 – 115.

331. ჩოჩელი ვ. «ჩრდილოვანი ეკონომიკის სინდრომი» : დაბალი საგადასახადო ტვირთი – ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2003 . – ტ. 11 . -№1 – 2 . – გვ. 13 – 33. რეზ. ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ბუნების ანალიზი, მისი ზრდის გამომწვევი ფაქტორების (უსაფრთხოება, კორუფცია, საგადასახადო ტვირთი, რეგულირება, მწარმოებლურობა) დახასიათება. კორუფციის მასშტაბები საქართველოში 1988 – 2002 წლებში.

332. ჩუბინიძე ლ. რეგიონის სამრეწველო პოტენციალის გამოყენების რეზერვები : (ქ. ქუთაისის მაგალითზე) // ეკონომიკა . – 2002 . -№10 – 11. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

333. ჩუბრიკიძე თ. რეგიონის კომპლექსური განვითარების კანონზომიერებანი // ეკონომიკა . – 2003 . -№9 – 10 . – გვ. 115 – 121. რეზ. რუს. ენაზე.

რეგიონების განვითარების მიმართულებების შემუშავება და მისი რეალიზაცია საქართველოს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

334. ჩხარტიშვილი დ. კონტრაბანდის ზოგიერთი ინსტიტუციური ასპექტის შესახებ საქართველოში // გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . -№2 . – გვ. 142 – 145. რეზ. ინგლ. ენაზე.

კონტრაბანდული საქონლის თავისუფალი მიმოქცევის მიზეზები.

ექვსი წლის პიანისტი, ბოლონის მეორე საერთაშორისო კონკურსის გრანპრის მფლობელი ირმა გიგანი. წარმატებული კონცერტი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში

701. ჩილაჩავა ე. ლექსო არ აპირებდა ამერიკაში წასვლას // ქართული დროშა . – 2001 . -№0 . – გვ. 12 – 17.

პიანისტ ლექსო თორაძის შემოქმედებითი ცხოვრება. ჩანაწერები მისი დღიურიდან. ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც მან ამერიკაში დარჩენის მერე გამოაგზავნა.

702. ჩხარტიშვილი ლ. ქართული საბავშვო ოპერის ისტორიიდან // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№2 . – გვ. 63 – 69.

ბათუმში, ალექსი ფარცხალაძის ხელმძღვანელობით დადგმული საბავშვო ოპერები – პ. გრიგორიევის «მძინარე მზეთუნახავი» (1953 წ.) და ა. ფარცხალაძის ოპერა-კანტატა «ჭიაკოკონა» (1955 წ.); სპექტაკლების მნიშვნელობა ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში.

703. ჭიჭინაძე გ. «ცუდი პროექტისთვის ფულის შოვნა უფრო ადვილია» : ინტერვიუ გოგი ჭიჭინაძესთან // ქომაგი . – 2001 . -№4 (54) . – გვ. 40 – 44.

ღირიჟორი გოგი ჭიჭინაძე საღირიჟორო ხელოვნების განვითარების ზოგადი კანონზომიერებების, საკუთარი შემოქმედებითი სამზარეულოსა და სამომავლო გეგმების შესახებ / ესაუბრა თ. ქერეჭაშვილი.

704. ჯაბუა მ. მე მომწონს, როგორც ვიცხოვრე... // ქართული დროშა . – 2001 . -№0 . – გვ. 24 – 27.

ინტერვიუ მომღერალთან მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე / ესაუბრა მ. გოგორიშვილი.

705. ჯანდიერი ი. არაჩვეულებრივი სპექტაკლი // ხატაური . – 2003 . -№1 (6) . – გვ. 55 – 56.

ცნობილი ვეჯილის ოსიკო ბარათაშვილის სასიმღერო ნიჭისა და სპექტაკლ «ჯამბაზებში» შესრულებული კანოს პარტიის შესახებ.

თეატრი

706. აბაშიძე ი. საქართველოს ებრაელთა ხელოვნების სახლი // ციონი . – 2001 . -№2 . – გვ. 11.

თოჯინების თეატრის გახსნა თბილისში საქართველოს ებრაული თემის მიერ.

707. ანზორ ქუთათელაძე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 160 – 161.

რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის ა. ქუთათელაძის გარდაცვალების გამო.

708. აფაქიძე ი. «მონატრება» : თეატრისა და კინოს ინსტიტუტის სპექტაკლი // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 31 – 34.

მუსიკის კათედრის კურსდამთავრებულთა მიერ მომზადებული მიუზიკლი «მონატრება» (ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა მიხედვით).

709. ბათიაშვილი გ. თბილისის საოპერო თეატრი საერთაშორისო ფესტივალზე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 55 – 59.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ ისრაელის ქ. რიშონ ლეციონის მეხუთე საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე წარმოდგენილი ვ. დოლიძის ოპერა «ქეთო და კოტე». დამდგმელი რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე.

710. ბათიაშვილი გ. რობიკო // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№4 . – გვ. 3 – 8.

რობერტ სტურუას დაბადების 65 წელთან დაკავშირებით. რეჟისორის ბიოგრაფიული მონაცემები, პროფესიონალიზმი, შემოქმედებითი ხედვა.

711. ბობოხიძე ნ. «აჰა, კაცი იგი!» // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 23 – 28.

რეჟისორ თემურ ჩხეიძის სპექტაკლი «პილატე» მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. კრიტიკული ანალიზი.

712. ბობოხიძე ნ. «... და შორს, სადღაც, სინათლე ბჟუტავს...» // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 48 – 54.

ა. ჩეხოვის პიესა «ძია ვანია» ვაკის თეატრალური სარდაფის სცენაზე.

ბ. რეჟისორი ოთარ ეგაძე. ხარვეზები. მსახიობების კარგი თამაში. რეჟისორული გადაწყვეტა.

713. ბოკუჩავა თ. რობერტ სტურუას ახალი «ჰამლეტი» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 24 – 29.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლის განხილვა.

714. ბუხრიკიძე დ. «საჩუქარი» ოთხი წლისაა, მაგრამ ასაკისა და მომავლის არ ეშინია // ამარტა . – 2001 . -№2 (ზამთარი) . – გვ. 76 – 78.

მ. თუმანიშვილის სახ. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი და მასზე წარმოდგენილი სხვადასხვა სპექტაკლები.

715. ბუხრიკიძე დ. საჯარო ხმა ორი ელექტროსკამისთვის : გუმინდელნი და დღევანდელნი თემურ ჩხეიძის «ანტიგონეს» მიხედვით // ამარტა . – 2001 . -№2 (ზამთარი) . – გვ. 74 – 75.

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი «ანტიგონე», რეჟისორი თ. ჩხეიძე.

716. გამოჩენილი ქართველი რეჟისორი თემურ ჩხეიძე 60 წლისაა // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 104 – 119.

გიგა ლორთქიფანიძე, რობერტ სტურუა, ოლეგ ტაბაკოვი, ქეთინო კიკნაძე, ავთო ვარსიმაშვილი, თამაზ გოდერძიშვილი რეჟისორ თემურ ჩხეიძის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

717. განვლილი თეატრალური სეზონი. «თეატრი და ცხოვრების» მრგვალი მაგიდა // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№4 . – გვ. 53 – 75.

გ. ბათიაშვილის, ს. მრევლიშვილის, ნ. ურუშაძის, გ. მარგველაშვილის, გ. ლორთქიფანიძის, ვ. კიკნაძის, ნ. არველაძის, გ. ქავთარაძის საუბარი ქართული თეატრის მიღწევებზე, რეპერტუარსა და პრობლემებზე.

718. გეგეჭკორი გ. გეპატიჟებათ «სიზმარა» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - 12 . – გვ. 29 – 34.

ინტერვიუ მხატვარ გიორგი გეგეჭკორთან მის მიერ შექმნილ საბავშვო თეატრისა და სტუდიის «სიზმარას» შესახებ / ჩაიწერა ნ. მაჭავარიანმა.

719. გეგია მ. ჩემი მეგობარი ვახტანგ ქართველიშვილი // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 65 – 66.

თეატრმცოდნისა და ფილოსოფოსის პიროვნული პორტრეტი.

720. გიგა ლორთქიფანიძე – 75 // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№5 . – გვ. 3 – 24.

ედუარდ შევარდნაძის, რობიკო სტურუას, თემურ ჩხეიძის, ოთარ მეღვინეთუხუცესის, ნოდარ ამდლობელის, გოგი ქავთარაძის, მერაბ კოკოჩაშვილის და სხვათა მისალოცი წერილები რეჟისორ გ. ლორთქიფანიძის საიუბილეო წელთან დაკავშირებით.

721. გიგა ლორთქიფანიძის მუსიკალური სამყარო // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . - №3 . – გვ. 3 – 10.

საუბარი გიგა ლორთქიფანიძესთან მის მიერ განხორციელებული საოპერო სპექტაკლებისა («ქეთო და კოტე», «აიდა», «მედეა»...) და მუსიკალური თეატრების რეპერტუარის თაობაზე / ესაუბრა თ. წულუკიძე.

722. გორდაძე ი. დარეჯან ჭამაური // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№5 . – გვ. 77 – 81.

გორის გ. ერისთავის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის დარეჯან ჭამაურის შემოქმედება.

723. გორდაძე ი. «ჰაკი აძბა» გორის თეატრში // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№4 . – გვ. 9 – 15.

რეჟისორ ზაზა წაქაძის სპექტაკლის «ჰაკი აძბას» განხილვა. ინსცენირება ეკუთვნის გ. სუხაშვილსა და გ. მარდანიას.

724. გომაძე თ. გამოთხოვება : მეგობრის ხსოვნას // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №3 . – გვ. 100 – 101.

თეატრისა და კინოს რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

725. გოცირიძე ი. საქართველოს ბავშვთა თეატრების ფესტივალი // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№4 . – გვ. 24 – 28.

ბორჯომში ჩატარებული ბავშვთა თეატრების ფესტივალის მიმოხილვა. მონაწილეობდნენ – ბორჯომის, თბილისის, ონის, მცხეთის, სოფ. ნატახტრის და გორის საბავშვო თეატრები.

726. გურაბანიძე ნ. დიდი მსახიობის დიდი ბენეფისი ლესტერში // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№5 . – გვ. 69 – 76.

ინგლისის ქ. ლესტერის მუნიციპალიტეტის და ხელოვნების საბჭოს მიერ გამართული ქართველი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის ბენეფისი. მიმოხილვა.

727. გურაბანიძე ნ. ვინ არის «ღვთის გერი?» : ჰ. იბსენის «ბრძოლა ხელისუფლებისათვის» რუსთავის თეატრში : რეჟისორი გოგი ქავთარაძე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 18 – 22.

გ. ქავთარაძის მიერ სოხუმისა და ქუთაისის თეატრებში დადგმული სპექტაკლების მიმოხილვა. «ნორვეგიული თემების» ქართული მოტივებით გაჟღერება სპექტაკლში «ბრძოლა ხელისუფლებისათვის».

728. გურაბანიძე ნ. ოთარ ზაუტაშვილის იმიტაციები // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 150 – 151.

რუსთაველის თეატრის მსახიობ ო. ზაუტაშვილის იმიტაციის გამორჩეული უნარი.

729. დარჩიაშვილი ვ. ლევან ბერიკაშვილი // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 47 – 49.

რუსთაველის თეატრის მსახიობის ლ. ბერიკაშვილის მიერ შესრულებული როლები სპექტაკლებში – «კავკასიური ცარცის წრე» და «ქალი გველი».

730. დაუმთავრებელი ინტერვიუ : თეატრის ცხოვრება თაობაზე მეტს არ ითვლის : თეატრი ყოველთვის ბრძოლის არენა იყო : ენის გარეშე ქვეყანა, ერი არ არსებობს // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 95 – 96.

ინტერვიუ მსახიობ გოგი გეგეჭკორთან: რუსთაველის თეატრი, როლები, გასტროლები / ესაუბრა ნ. მაჭავარიანი.

731. დიდი ქართველი მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი 70 წლისაა // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 58 – 62.

მსახიობებისა და თეატრის მოღვაწეთა მილოცვები.

732. დოლიძე გ. «ორთაქალის ბაღში მნახე, ვინა ვარ...» : (მიხეილ მგელაძე) // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 . – გვ. 41 – 56.

მსახიობ მ. მგელაძის შემოქმედების გახსენება.

733. დოლიძე გ. სახალხო დღესასწაული სენაკში // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 35 – 38.

2002 წლის 23 ნოემბერს ქ. სენაკში ჩატარებული ადგილობრივი თეატრის არსებობის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო; ა. ხორავას სახლ-მუზეუმის, ვალ. გუნიასა და შ. დადიანის ბარელიეფების გახსნა, პრემიერა სენაკის თეატრში – «გთხოვთ, ბილეთი იყიდეთ...» მიხეილ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნების» მიხედვით.

734. დოლიძე მ. «მედეა» მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 57 – 63.

ვერიკო ანჯაფარიძის, დოდო ჭიჭინაძისა და ბერძენი მსახიობის – ასპასია პაპატანასიუს მიერ განხორციელებული მედეას სახე რეჟისორ არჩილ ჩხარტიშვილის

სპექტაკლში «მედეა» (1962 – 1967 წწ.). კრიტიკული განხილვა, ლიტერატურული მასალა სპექტაკლის შესახებ.

735. ენუქიძე ა. ადრეულ წლებში კერძო თეატრებზე ვოცნებობდით // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 75 – 87.

ინტერვიუ რეჟისორ ანდრო ენუქიძესთან ქართულ თეატრში მიმდინარე პროცესებზე, დ. კლდიაშვილის «ირინეს ბედნიერების» რეჟისორულ გადაწყვეტაზე, მომავალ გეგმებზე თეატრსა და ტელევიზიაში / ესაუბრა ზ. სოფრომაძე.

736. ერემია სვანაძე – 70 // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№3 . – გვ. 98 – 99.

ქუთაისის თეატრის მსახიობის იუბილესთან დაკავშირებული მსახიობებისა და თეატრის მოღვაწეთა მილოცვები.

737. ვარსიმაშვილი ა. «არ გავჩერდები და არც ჩემს მსახიობებს გავაჩერებ!» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 40 – 53.

ინტერვიუ ალ. გრიბოედოვის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან ა. ვარსიმაშვილთან მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიისა და თეატრის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ / ჩაიწერა ზ. სოფრომაძემ.

738. ვასაძე მ. «ნატაძრალზე» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№3 . – გვ. 37 – 40.

რეჟისორ ნუკრი ქანთარია სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში.

739. ვასაძე მ. ფრანგული კომედია «თეატრალურ სარდაფში» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№3 . – გვ. 32 – 36.

რეჟისორ ოთარ ეგაძის სპექტაკლ «ინსტიქტის» განხილვა.

740. ვაჩნაძე ე. ელისაბედ ჩერქეზიშვილი // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 38 – 40.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობის ე. ჩერქეზიშვილის გახსენება.

741. ვაჩნაძე ე. წარსული წლების გახსენება // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№4 . – გვ. 45 – 54.

მსახიობ ეკატერინე ვაჩნაძის მოგონებები.

742. «ვერიკოს» გასტროლები უკრაინასა და რუსეთში // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 34.

ერთი მსახიობის თეატრის გასტროლებზე საუბრობს თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე მანანა გეგეჭკორი.

743. თავართქილაძე ე. მთავარია, სცენაზე შენი ქვეყნის გულისტკივილი გამოხატო // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 56 – 62.

ბათუმის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორის ეთერ თავართქილაძის საუბარი მის შემოქმედებით გზაზე პეტერბურგიდან – ბათუმამდე, მომავლის გეგმებზე / ესაუბრა ნ. აბულაძე.

744. თევზაძე გ. ექნება თუ არა რუსთაველის თეატრს მცირე დარბაზი?! // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№3 . – გვ. 9 – 14.

საუბარი თეატრის დირექტორ გია თევზაძესთან მიმდინარე რეკონსტრუქციისა და მცირე სცენის ფუნქციონალური დატვირთვის შესახებ / ესაუბრა ზ. სოფრომაძე. თან ერთვის რ. სტურუას წერილი სტუდენტებისადმი.

745. თევზაძე მ. სცენური სივრცის პრობლემა სანდრო ახმეტელისა და ირაკლი გამრეკელის შემოქმედებაში . – თბ. , 2001 . – 160 გვ.

რეც. : მაჭავარიანი ნ. ახალი წიგნები // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 102 – 103.

746. თოლორდავა გ. ცხოვრება თეატრში // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№4 . – გვ. 88 – 94; №5 – 6 . – გვ. 143 – 146.

ეპიზოდები მარჯანიშვილის თეატრის ცხოვრებიდან.

747. იზა გიგოშვილი // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 165 – 166.

მსახიობ ი. გიგოშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. გამოსათხოვარი წერილი.

748. ითონიშვილი მ. კოტე მახარაძე ალფრედ ჰიჩკოკის როლში // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№4 . – გვ. 55 – 62.

ვადიმ პავლოვის ფილმი «წესრიგის დამცველნი» (1999 წ) და კ. მახარაძის მიერ შესრულებული ჰიჩკოკის როლი.

749. ითონიშვილი მ. კოტე მახარაძე რეჟისორული ხელოვნების, მსახიობის და რეჟისორის ურთიერთობის შესახებ // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 88 – 95.

750. იუბილე და გამოთხოვება // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 89 – 94.

მსახიობ გოგი გეგეჭკორის 80 წლის საიუბილეო საღამო კონოთეატრ «რუსთაველში». ხელოვნების მოღვაწეთა (რ. სტურუა, ე. შენგელაია, ქ. დოლიძე, გ. საღარაძე...) მილოცვები. / ჩაიწერა ნ. მაჭავარიანმა.

751. იყავ მეფეც... // ხატაური . – 2002 . -№1 (5) . – გვ. 44.

მსახიობ თენგიზ არჩვაძისათვის საიუბილეო თარიღის მილოცვა.

752. კალანდარიშვილი მ. «სინათლე» რუსთაველის თეატრის სცენაზე // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 78 – 87.

რეჟისორ ვალერი შალიკაშვილის მიერ 1913 წ. დადგმული სპექტაკლი; ამ პერიოდის ქართული თეატრის განვითარების ეტაპები, სპექტაკლის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებები და პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები.

753. კანდელაკი ნ. იმ დღეს რა დამავიწყებს... // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . - №3 . – გვ. 54 – 55.

სესილია თაყაიშვილთან და ჩიტოლია ჩხეიძესთან შეხვედრა ლიკანის სანატორიუმში.

754. კანკაძე მ. ზურაბ ყიფშიძე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 46 – 49.

მახიოზ ზ. ყიფშიძის მიერ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე განხორციელებული როლები (სპექტაკლები: «ხელოვნება», «მამა». რეჟ. თ. ჩხეიძე).

755. კაპანაძე გ. XXI საუკუნე მსახიობის თეატრს უნდა ეკუთვნოდეს! // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . - №1 . – გვ. 88 – 93.

მსახიობურ წარსულზე, რეჟისორად გარდაქმნასა და დადგმულ სპექტაკლებზე, აგრეთვე თავისუფალი თეატრის სცენაზე განხორციელებულ ფ. გ. ლორკას «სისხლიანი ქორწილის» ახლებურ გააზრებაზე რეჟისორ გოჩა კაპანაძეს ესაუბრა ნინო მაჭავარიანი.

756. კახიანი თ. ლევან წულაძის პორტრეტი «სარდაფის» ინტერიერში // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№2 . – გვ. 84 – 89.

თეატრალური სარდაფის დამფუძნებლის, რეჟისორ ლ. წულაძის მიერ დადგმული სპექტაკლების ძირითადი თემა – თანამედროვე გარემოს მიერ შექმნილი ადამიანების პრობლემა («მელოდია ფლეიტისათვის», «Et Cetera», «მეტამორფოზა», «ფიგაროს ქორწინება»).

757. კიკნაძე ვ. გამოთხოვება მოგონებებთან // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 63 – 72; №3 . – გვ. 80 – 97; №5 . – გვ. 85 – 102; 2003 . -№1 . – გვ. 122 – 142; №2 . – გვ. 72 – 88; №3 . – გვ. 77 – 92; №4 . – გვ. 79 – 87; №5 – 6 . – გვ. 125 – 142.

ბიოგრაფიული მემუარები.

758. კიკნაძე მ. გერმანული ექსპრესიონიზმი ქართულ თეატრში; ფ. ვერფელის «კაცი სარკიდან» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№3 . – გვ. 49 – 59.

რუსთაველის თეატრში გერმანელი დრამატურგის პიესის მიხედვით კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის მიერ ინსცენირებული სპექტაკლის დადგმის ისტორია და რეცენზიები.

759. კიკნაძე მ. დაველოდოთ გოდოს... // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 17 – 19.

რობერტ სტურუას რეჟისორული ხედვა ს. ბეკეტის პიესის მიხედვით რუსთაველის თეატრში განხორციელებულ დადგმაში «გოდოს მოლოდინი».

760. კოტე მახარაძე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 153 – 159.

გამოთხოვება მსახიობთან.

761. კუპრეიშვილი ბ. მინდა საქართველოში დავრჩე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 67 – 74.

ინტერვიუ «თითების თეატრის» სამხატვრო ხელმძღვანელ ბ. კუპრეიშვილთან: თეატრში მოღვაწეობის წლები, თითების თეატრის შექმნა, შენობასთან დაკავშირებული პრობლემები, სამომავლო გეგმები / ესაუბრა ნ. მაჭავარიანი.

762. ლალიაშვილი თ. ზურაბ ყიფშიძე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 41 – 44.

მსახიობ ზ. ყიფშიძის სცენური სახეები მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგმულ სპექტაკლებში «მამა» და «ხელოვნება».

763. ლედი კაპანაძე // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№5 . – გვ. 103.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი. ნეკროლოგი.

764. ლერი პაქსაშვილი // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№4 . – გვ. 100 – 101.

გამოთხოვება თეატრის რეჟისორთან. ნეკროლოგი.

765. ლოლაშვილი ჟ. «ხელოვნებაში უბრალოებას გენიალურობას ვუწოდებთ» // ქომაგი . – 2001 . -№3 (53) . – გვ. 44 – 48.

საუბარი მსახიობ ჟანრი ლოლაშვილთან თეატრზე, ლიტერატურასა და მხატვრობაზე / მოამზადა თ. ქერექაშვილმა.

766. ლორთქიფანიძე გ. თენგიზ არჩვაძე – 70 / გ. ლორთქიფანიძე, გ. სიხარულიძე // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№2 . – გვ. 91 – 92.

მოგონებები მსახიობ თ. არჩვაძის იუბილესთან დაკავშირებით.

767. ლორთქიფანიძე გ. მეგობართა წრეში // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№5 . – გვ. 25 – 33.

რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია დ. ჯანელიძის სახ. თეატრისა და კინოს ისტორიის და თეორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში / ჩაიწერა ნ. მაჭავარიანმა.

768. მაჭავარიანი ნ. «ამდენი ხნის მოლოდინმა»... : «დარისპანის გასაჭირი» ოზურგეთის თეატრში // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№4 . – გვ. 21 – 23.

დ. კლდიაშვილის «დარისპანის გასაჭირის» განხილვა. რეჟისორი ქეთევან სარიშვილი.

769. მაჭავარიანი ნ. «ანა კარენინა» კინომსახიობთა თეატრში // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№2 . – გვ. 7 – 11.

რეჟისორ გიორგი სიხარულიძის მიერ კინოგადაღების პრინციპით დადგმული სპექტაკლი «ანა კარენინა».

770. მაჭავარიანი ნ. «გთხოვთ... ბილეთი იყიდეთ!..» // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 22 – 26.

აკაკი ხორავას ხსოვნის დღესთან დაკავშირებით სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ თბილისის თეატრალურ სარდაფში წარმოდგენილი მ.

ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნების» მიხედვით ინსცენირებული სპექტაკლი «გთხოვთ... ბილეთი იყიდეთ!..». რეჟისორი მზია ქირია.

771. მაჭავარიანი ნ. ისევ ფესტივალის თაობაზე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 36 – 38.

2003 წლის რუსთავის «ოქროს ნიღბის» ფესტივალი.

772. მაჭავარიანი ნ. კონფლიქტი / ნ. მაჭავარიანი, ზ. სოფრომაძე // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№4 . – გვ. 50 – 52.

ფოთის ვალ. გუნიას სახ. სახელმწიფო თეატრის შენობის საკითხი: თეატრის კოლექტივსა და გურია-სამეგრელოს ეპარქიას შორის გამართული დავა შენობისათვის, რომელიც აშენდა, როგორც ქრისტიანული, კათედრალური ტაძარი და რომელშიც დღეს თეატრი მოღვაწეობს.

773. მაჭავარიანი ნ. მთავარი მე ვარ! : «ჯულიეტა და რომეო» კინომსახიობთა თეატრში // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №3 . – გვ. 27 – 31.

სპექტაკლის განხილვა. რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი.

774. მაჭავარიანი ნ. «მძიმე განსაცდელი» მერაბ კოსტავას სახ. თეატრში // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№4 . – გვ. 16 – 20.

არტურ მილერის პიესა «მძიმე განსაცდელი», რომელიც «სეილემის პროცესის» სახელწოდებით დაიდგა. რეჟისორი დიმიტრი ღვთისიაშვილი.

775. მაჭავარიანი ნ. ოთარ ჯანგიშერაშვილი 60 წლისაა // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№4 . – გვ. 28 – 32.

ეპიზოდები თეატრალური რეჟისორის ო. ჯანგიშერაშვილის შემოქმედებითი ცხოვრებიდან.

776. მაჭავარიანი ნ. «სიკვდილი აკაკუნებს» : რეჟისორი ლაშა სიდამონიძე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 34 – 36.

სპექტაკლის ანალიზი.

777. მაჭავარიანი ნ. სიყვარული ყოველთვის გულწრფელი რჩება : (ე. შვარცის «ჩრდილი» მესხეთის თეატრში) // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 4 – 7.

რეჟისორ მალხაზ ასლამაზიშვილის დადგმა. პირობითი მეტაფორები და ჟესტები სპექტაკლში.

778. მახარაძე კ. რუსეთის პრეზიდენტს – ქართველი «სკომოროხისაგან» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№5 . – გვ. 34 – 45.

ღია წერილი პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისადმი: საქართველო-რუსეთის ურთიერთობის განმტკიცებაზე და არა ღვარძლისა და შურის გაღვივებაზე.

779. მეგრელიშვილი ნ. სცენაზე და სცენის მიღმა // ქართული დროშა . – 2001 . -№0 . – გვ. 54 – 57.

სარდაფის თეატრის ისტორია, დღევანდელი მდგომარეობა, რეპერტუარი. რეჟისორისა და მსახიობების საუბრების ჩანაწერები.

780. მეგრელიძე გ. თელავის თეატრის გასტროლები // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 20- 30.

თელავის თეატრის მიერ თბილისში საგასტროლოდ ჩამოტანილი სპექტაკლების (თ. ჭილაძის «მშვიდობით ლომებო!..», «ალადინის ლამპარი», ლ. თაბუკაშვილის «მერე რა, რომ სველია სველი იასამანი») ანალიზი.

781. მეგრელიძე გ. ქუთაისის თეატრის გასტროლების ავ-კარგი // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№3 . – გვ. 15 – 26.

თეატრის რეპერტუარი და გასტროლები თბილისში.

782. მედეა ჩახავას საიუბილეო სადამოს გამო // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№5 . – გვ. 62.

საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მისალოცი წერილი მსახიობის შემოქმედების 60 წლისთავთან დაკავშირებით.

783. მეღვინეთუხუცესი ო. თეატრისა და კინოს რაინდი : ინტერვიუ ოთარ მეღვინეთუხუცესთან // ახალი ხიდი . – 2003 . -№1 . – გვ. 47 – 52. პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე.

მსახიობს ცხოვრებასა და შემოქმედებით მოღვაწეობაზე ესაუბრა დოდო შენგელი.

784. ნათლიაშვილი-კვინიკაძე ნ. მაყურებელი მსახიობებზე : ელვარე ტალანტი // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 72 – 76.

სოფიკო ჭიაურელის სამსახიობო ნიჭი, მისი სასცენო და კინოროლები. საუბარი მსახიობთან მის შემოქმედებასა და სამომავლო გეგმებზე.

785. ნათლიაშვილი-კვინიკაძე ნ. მოგონების ერთი ფურცელი // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 96 – 98.

მსახიობი გოგი გეგეჭკორი.

786. ნანა ფაჩუაშვილი : თეატრი თავგანწირვას და ფანატიზმს ითხოვს! // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 67 – 71.

საუბარი მსახიობ ნ. ფაჩუაშვილთან: შემოქმედებითი ცხოვრება, პროფესიონალიზმი, როლები / ესაუბრა ნ. მაჭავარიანი.

787. ნემსაძე ლ. ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ! // ექო სახიერი . – 2003 . -№4 . – გვ. 62 – 65.

სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი პორტრეტი. თეატრ «ვერიკოს» გასტროლები სანკტ-პეტერბურგში სპექტაკლით «სიყვარულის სულთათნა».

788. ნინიძე მ. ვირტუალური ინტერვიუ მერაბ ნინიძესთან // ამარტა . – 2002 . -№8 (ზაფხული) . – გვ. 99.

ინტერვიუ მსახიობ მ. ნინიძესთან ემიგრაციაში მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ / ჩაიწერა თ. ხატიაშვილმა.

789. ოჩიაური ლ. დრო ყველაფერს დაგვანახებს, ადრე თუ გვიან // ამარტა . – 2001 . - №3 (გაზაფხული) . – გვ. 70 – 71.

უ. შექსპირის პიესა «როგორც გენებოთ, ანუ შობის მეთორმეტე ღამე» რუსთაველის თეატრში. რეჟისორი რ. სტურუა.

790. ოჩიაური ლ. თუ კაცი გქვიან, ნუ აიტან შენ ამას, ჰამლეტ! // ამარტა . – 2001 . - №3 (გაზაფხული) . – გვ. 72 – 73.

უ. შექსპირის პიესა «დროთა კავშირი დაირღვა» ერთი მსახიობის თეატრში. რეჟისორი მ. ჯინორია.

791. ოჩიაური ლ. რა ხმაურია? // ამარტა . – 2001 . - №3 (გაზაფხული) გვ. 72 – 73.

მ. ფრენის პიესა «ხმაური სცენის მიღმა» თეატრალური სარდაფის სცენაზე. რეჟისორი ო. ეგაძე.

792. პაპუაშვილი დ. თეატრისათვის არასოდეს მიღალატია! // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №5 . – გვ. 82 – 84. ინტერვიუ რუსთაველის თეატრის მსახიობ დ. პაპუაშვილთან სტუდენტობის წლებზე, რეჟისორ რობერტ სტურუასთან მუშაობასა და მომავალ გეგმებზე / ესაუბრა ზ. სოფრომაძე.

793. ჟვანიამ საკუთარი გვარი დამაკარგვინა // ქართული დროშა . – 2001 . - №0 . – გვ. 62 – 64.

ინტერვიუს მსახიობ-იმიტატორ ბესო ბერულაშვილთან უძღვება ნუნუ კუპრეიშვილი.

794. რუსთაველის თეატრის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები 2005 წლისათვის დასრულდება // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . - №2 . – გვ. 21 – 22.

რუსთაველის თეატრის დირექტორს გია თევზაძეს თეატრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისა და დასის გასვლითი სპექტაკლების შესახებ ესაუბრა ნინო მაჭავარიანი.

795. საქართველოს თეატრებს დაფინანსება სჭირდება // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . - №3 . – გვ. 37 – 38.

საუბარი გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ გიორგი გაბილაიასთან თეატრის პრობლემებზე, რეპერტუარსა და სამომავლო გეგმებზე / ესაუბრა ი. გორდაძე.

796. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის ყოველწლიური პრემიები // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №1 . – გვ. 12 – 13.

2000 – 2001 წლების სეზონი.

797. საღარაძე ე. მხიარული, ამაღლებული... // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №4 . – გვ. 29 – 31.

საბავშვო თეატრების ფესტივალის «ბორჯომი 2002»-ის შთაბეჭდილებები.

798. საყვარელიძე დ. თეატრალური ენის ძიებაში // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №4 . – გვ. 42 – 49.

თეატრმცოდნე ზაზა სოფრომაძის საუბარი რეჟისორ დათო საყვარელიძესთან მის შემოქმედებით ცხოვრებაზე, თეატრში მიმდინარე პროცესებსა და მომავლის გეგმებზე.

799. საყვარელიძე დ. «სუყოს» თეატრალური თეზისები ანუ ახალგაზრდა რეჟისორის მოგზაურობა მიხეილ თუმანიშვილიდან რობერტ ვილსონამდე // ამარტა . – 2001 . - №5 (შემოდგომა) . – გვ. 84 – 86.

რეჟისორი დათო საყვარელიძე მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის შესახებ / საუბარი ჩაიწერა დ. ბუხრიკიძემ.

800. სიხარულიძე გ. იცნობდეთ, გიორგი სიხარულიძე // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№3 . – გვ. 71 – 79.

საუბარი კინომსახიობთა თეატრის რეჟისორ გ. სიხარულიძესთან შემოქმედებით ცხოვრებასა და სამომავლო გეგმებზე / ესაუბრა ნ. მაჭავარიანი.

801. სოლომნიშვილი დ. სანდრო ახმეტელზე და ... // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №2 . – გვ. 97 – 103.

რეჟისორ სანდრო ახმეტელის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები პედაგოგისა და ჟურნალისტის ვანო პაატაშვილის არქივში.

802. სოფრომაძე ზ. «ეს თავისუფალი პეპლები» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№5 . – გვ. 50 – 52.

რეცენზია მესხეთის სახელმწიფო თეატრში ლეონარდ გერშის პიესის მიხედვით რეჟისორ ხათუნა ბედელაძის მიერ დადგმულ სპექტაკლზე.

803. სოფრომაძე ზ. საერთაშორისო ფესტივალზე // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №5 . – გვ. 57.

თბილისის მერაბ კოსტავას სახ. მუნიციპალური თეატრის მონაწილეობა თურქეთის ქ. ტრაპიზონში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალში.

804. სოფრომაძე ზ. «საჩუქარი» მწირი პროგრამით // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №5 . – გვ. 53 – 56.

მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრის ორი სპექტაკლი მიხეილ თუმანიშვილის სახ. ხელოვნების VI საერთაშორისო ფესტივალ «საჩუქრის» პროგრამით – აგატა კრისტის «ბრალდების მოწმე» და დანიელ გინკის «კ. ი. «დანაშაულიდან».

805. სოფრომაძე ზ. «ურემი გადაბრუნდა» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№2 . – გვ. 18 – 21.

ოტია იოსელიანის ორი პიესის («სანამ ურემი გადაბრუნდება», «ურემი გადაბრუნდა») მიხედვით განხორციელებული სპექტაკლი რუსთავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. რეჟისორი დავით კობახიძე.

806. სოფრომაძე ზ. «ჰამლეტით» გატაცება : დიალოგი რუსთავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლის ირგვლივ / ზ. სოფრომაძე, ნ. მაჭავარიანი // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№2 . – გვ. 22 – 28.

გოგი ქავთარაძის მიერ რუსთავის თეატრში დადგმული «ჰამლეტის» დადებითი და უარყოფითი მხარეები.

807. სტურუა ლ. გამომშვიდობება კოტე მახარაძესთან // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 159.

808. სტურუა რ. ვარიაციები თემებზე // ამარტა . – 2002 . -№8 (ზაფხული) . – გვ. 95 – 96.

რეჟისორი რობერტ სტურუა თეატრზე. მასალა მოამზადა თეო ხატიაშვილმა.

809. სტურუა რ. იზა // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 167.

მსახიობ ი. გიგოშვილის ღვაწლზე ქართულ თეატრში.

810. სხირტლაძე დ. იმიჯის ტყვეობაში : დუტა სხირტლაძე უფასო თეატრალური სარდაფიდან ოციათასიან სატელევიზიო შოუმდე // ამარტა . – 2001 . -№4 (ზაფხული) . – გვ. 94 – 95.

მსახიობს მონო-სპექტაკლზე «ღამე და თუთიყუში» და სატელევიზიო გადაცემაზე «ვის უნდა ოცი ათასი» ესაუბრა დავით ბუხრიკიძე.

811. ფარულავა ი. ვერცხლისფერი “კარეტა” ქართველი ფერიისათვის // ამარტა . – 2002 . -№8 (ზაფხული) . – გვ. 46 – 47.

რადიო «იმედის” პირდაპირ ეთერში კინომსახიობ ია ფარულავასთან გამართული პრესკონფერენცია მისი საავტორო ტელეპროგრამის «ჩემი მშვენიერი ლედის” და კომპანია «მედია ჰოლდინგთან” დადებული კონტრაქტის თაობაზე / ჩაიწერა მ. ჯოლოგუამ.

812. ფოტო სტუმარი : ზურაბ ყიფშიძე _ მაყურებლის კერპი // ქართული დროშა . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 16 – 17.

მსახიობის შემოქმედებითი პორტრეტი.

813. ქავთარაძე გ. მარტოობის ორდენის კავალერი // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №4 . – გვ. 76.

მსახიობი გოგი ხარაბაძე: შტრიხები პორტრეტისათვის.

814. ქავთარაძე გ. საქართველოს ეროვნული იდეოლოგია არ გააჩნია // ფარმაცევტული მაცნე მედია . – 2002 . -№4 (39) . – გვ. 14 – 15.

საუბარი მსახიობსა და რეჟისორ გოგი ქავთარაძესთან შემოქმედებით საკითხებზე, პოლიტიკაზე, საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე, მომავალ გეგმებზე და სხვა. ესაუბრა მ. ჩირაძე.

815. ქელბაქიანი მ. ფაიფურში ჩარჩენილი სული // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 50 – 53.

მსახიობ გოგი გეგეჭკორის ხსოვნისადმი მიძღვნილი მისი პიროვნული პორტრეტი. ჩანახატი.

816. ქუთათელაძე თ. შალვა გაწერელის ორი სპექტაკლი // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 30 – 37.

რეჟისორის მიერ საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლები «თოლია» და «გუმინდელნი».

817. ლოლობერიძე ი. «ევროტალია» – ბრატისლავა 2002 // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№4 . – გვ. 4 – 8.

რუსთაველის თეატრის მონაწილეობა ბრატისლავაში გამართულ ერთკვირიან ფესტივალ «ევროტალიაში» რობერტ სტურუას სპექტაკლით «ჰამლეტი».

818. შალუტაშვილი ალ. სიტყვა ღირსეულ პიროვნებაზე : აკაკი დვალიშვილის 80 წლის გამო // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 54 – 57.

ფრაგმენტები რეჟისორის შემოქმედებითი ცხოვრებიდან.

819. შალუტაშვილი ნ. მისი ცხოვრების ალფა და ომეგა : (სერგო გერსამია) // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№2 . – გვ. 53 – 56.

თეატრალური მოღვაწისა და ჟურნალისტის ცხოვრების გზა.

820. შაშიაშვილი თ. «ბედნიერება შენი ქვეყნისა და ხალხისათვის შეუძლებლის შეძლება...!» // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 14 – 22.

საუბარი პრეზიდენტის რწმუნებულთან იმერეთში თემურ შაშიაშვილთან ქუთაისის თეატრალური ცხოვრების შესახებ / ჩაიწერა ნ. მაჭავარიანმა.

821. შახაზიზოვა ტ. ჩეხოვი სარდაფს შეეთვისა // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 29 – 33.

თეატრალური სარდაფის მოსკოვური გასტროლები ა. ჩეხოვის პიესით «ძია ვანია».

822. შევარდნაძე ე. გამოთხოვება კოტე მახარაძესთან // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 156.

823. შევარდნაძე ე. გიგა ლორთქიფანიძეს // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 11 – 12.

საქართველოს პრეზიდენტის მილოცვა რეჟისორის დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით.

824. შევარდნაძე ე. საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა ქუთაისში, თეატრის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№1 . – გვ. 7 – 10.

825. შელოცვა თეატრით : «დოი» დაბრუნებული თავისუფლების ძიებაში // აპრილი . – 2002 . -№6 (ზამთარი) . – გვ. 88 – 90.

დათო დოიაშვილის შემოქმედებითი გზა. რეჟისორის მონათხრობი მის მიერ განხორციელებულ სპექტაკლებზე / ესაუბრა დ. ბუხრიკიძე.

826. ჩახავა მ. ელენე საყვარელიძე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 164.

გამოთხოვება მსახიობთან.

827. ჩიქოვანი ნ. მიხეილ გომიაშვილი // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 44 – 47.

მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობის როლები სპექტაკლებში «მარადი ქმარი» და «ხელოვნება».

828. ჩუბინიძე მ. «ჰამლეტი» და არა მარტო... // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№2 . – გვ. 12 – 17.

რობერტ სტურუას მიერ დადგმული სპექტაკლი «ჰამლეტი» რუსთაველის თეატრის სცენაზე.

829. ჩხარტიშვილი ლ. «ათას ერთი ღამის ზღაპარი» // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . - №1 . – გვ. 50 – 55.

ბათუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრში ეთერ თავართქილაძის მიერ დადგმულ გ. ნახუცრიშვილის პიესის რეჟისორულ გადაწყვეტასა და მსახიობთა ოსტატობაზე.

830. ჩხარტიშვილი ლ. თითების თეატრის ირგვლივ / ლ. ჩხარტიშვილი, ნ. აბულაძე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№1 . – გვ. 63 – 66.

თითების თეატრზე, მის რეჟისორ ბესო კუპრეიშვილზე, დადგმულ სპექტაკლებსა და შენობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

831. ჩხეიძე თ. მე არსად არ წავსულვარ! // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№2 . – გვ. 70 – 83.

ინტერვიუ რეჟისორ თემურ ჩხეიძესთან მისი შემოქმედების ბოლო პერიოდზე, დღევანდელ ქართულ თეატრალურ პროცესებზე; მის დამოკიდებულებაზე თეატრალურ კრიტიკასთან, მაყურებელთან და სხვ. / ჩაიწერა ზ. სოფრომაძემ.

832. ჩხიკვიშვილი ნ. ლეო ქიაჩელის «ჰაკი აძბას» სცენური ინტერპრეტაციისათვის // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 110 – 118.

ლეო ქიაჩელის «ჰაკი აძბა» კ. მარჯანიშვილის სახელობის სცენაზე თ. ჩხეიძის რეჟისურით.

833. ცაგარელი თ. ასე ცხოვრება აღარ შეიძლება // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 57 – 60.

მსახიობ გივი ჩუგუაშვილის სამსახიობო ბიოგრაფია.

834. ცქიტიშვილი გ. «რაი დედაკაცი ერთი?..» // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 27 – 33.

გ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი «წამებაი დედოფლისა». რეჟისორი გიორგი გაბილაია.

835. წიფურია ლ. თეატრი საზღვრებს გარეშე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 32 – 39.

საქართველოში მიმდინარე სათეატრო პროცესების მიმოხილვა. მიხეილ თუმანიშვილის სახ. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ «საჩუქარში» მონაწილე ბერძნული, რუსული, ლიტვური, ფრანგული თეატრების რეპერტუარისა და თბილისის ახალგაზრდული თეატრების («თავისუფალი თეატრი», «სამეფო უბნის თეატრი», «სანდრო ახმეტელის თეატრი») მიერ წარმოდგენილი უცხოელი დრამატურგების ინსცენირებული სპექტაკლების განხილვა.

836. წიფურია ლ. «საჩუქარი – 2003» // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 11 – 17.

მიხეილ თუმანიშვილის სახ. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ «საჩუქარზე» წარმოდგენილი სპექტაკლების – «ეროვნული ჰიმნი» (რეჟ. მიხეილ მარმარინოსი), «იფიგენია თავრიდში» (რეჟ. სტავროს ცაკირისი), «ავტორის მამიებელი ექვსი პერსონაჟი», «მასკარადი», «მედეა ორი წერტილი მასალა» (რეჟ. ანატოლი ვასილევის ვიდეოსპექტაკლები) განხილვა.

837. წულაძე ლ. მეტამორფოზები // ამარტა . – 2002 . -№7 (გაზაფხული) . – გვ. 102 – 104.

რეჟისორი ლევან წულაძე დრამატურგიაზე, მსახიობებზე, «თეატრალურ სარდაფსა» და მის მიერ დადგმულ სპექტაკლებზე. მასალა მოამზადა თეო ხატიაშვილმა.

838. წულაძე ხ. გამარჯვებული შაილოკი // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 40 – 47.

უ. შექსპირის «ვენეციელი ვაჭარი» ვაკის თეატრალური სარდაფის სცენაზე. რეჟისორი ლევან წულაძე.

839. წულაძე ხ. მოლოდინიდან მოლოდინამდე // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№5 . – გვ. 46 – 49.

რუსთაველის თეატრის სცენაზე დადგმული სპექტაკლი «გოდოს მოლოდინი». რეჟისორი რ. სტურუა, დრამატურგი ს. ბეკეტი.

840. წულაძე ხ. საძირკველი ჯერ ისევ დგას! // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№2 . – გვ. 29 – 31.

რეჟისორ ქეთი დოლიძის სპექტაკლი «მიტევების დღე» მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

841. წულაძე ხ. ყველაზე, ყველაზე, ყველაზე სკანდალური «ოქროს ნილაბი» : (ქ. რუსთავის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი «ოქროს ნილაბი» 2003) // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№5 – 6 . – გვ. 8 – 25.

842. ჭიაურელი ს. «ასე მგონია, კოსმოსიდან ვიღებ ენერჯის» // ამარტა . – 2001 . -№3 (გაზაფხული) . – გვ. 54 – 56.

ინტერვიუ კინოსა და თეატრის მსახიობ სოფიკო ჭიაურელთან მისი შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ / ესაუბრა თ. ხატიაშვილი.

843. ხანანაშვილი დ. «ურიის სისხლი» ქართულ სცენაზე // ციონი . – 2001 . -№2 . – გვ. 28.

ანრი ბერშტეინის პიესა (მთარგმნელი შ. დადიანი) ბათუმის, ქუთაისის და თბილისის თეატრების სცენაზე.

844. ხუტუნაშვილი ე. მსახიობის ბედნიერება წამია! // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . -№3 . – გვ. 64 – 70.

საუბარი ქუთაისის თეატრის მსახიობ ევა ხუტუნაშვილთან მისი სამსახიობო შემოქმედების შესახებ.

845. ხუციშვილი ნ. თენგიზ ჩანტლაძე – 70 / ნ. ხუციშვილი, ნ. ბობოხიძე // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№3 . – გვ. 54 – 56.

მსახიობ თ. ჩანტლაძის გახსენება. პიროვნული შტრიხები.

846. ხუციშვილი ქ. შემოქმედებითი სიმწიფის ხანა // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . - №4 . – გვ. 33 – 37.

მსახიობ ალექო ალავეძის შემოქმედებითი პორტრეტი («მთანი მაღალნი» – ალუდა, «ოპტიმისტური ტრაგედია» – ვაინონენი, «მოტყუებულნი» – ნაპოლეონი).

847. ხუციშვილი ქ. შტრიხები პორტრეტისათვის // თეატრი და ცხოვრება . – 2002 . - №4 . – გვ. 37 – 41.

რეჟისორ დათო ანდლულაძის გლდანის თეატრში მოღვაწეობის პერიოდი.

848. ჯაჯანიძე გ. დაკარგული გმირის ძიებაში... // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№4 . – გვ. 18 – 24.

ხალხის გმირად წარმოჩენის წარმატებული მცდელობა გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლში «კახაბერის ხმალი» (1965 წ. მარჯანიშვილის თეატრი).

849. ჯაჯანიძე გ. ნეორომანტიკული გმირის ძიება // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . - №5 – 6 . – გვ. 61 – 71.

რუსთავის თეატრის შექმნა (1967 წ.).

ბალეტი. ქორეოგრაფია

850. დანიელ ლარიოს მეორედ მოსვლა საქართველოში // ამარტა . – 2001 . -№5 (შემოდგომა) . – გვ. 82 – 83.

საუბარი ფრანგ ქორეოგრაფთან თბილისურ შთაბეჭდილებებზე.

851. ხურცილავა დ. ლარისა ნადარეიშვილი // თეატრი და ცხოვრება . – 2003 . -№4 . – გვ. 38 – 44.

საბალეტო ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლის ლ. ნადარეიშვილის შემოქმედება და ბიოგრაფიული ცნობები.

სპორტი. ტურიზმი

852. ლოლაძე დ. ვიტალი დარასელია (მესამე შევს. გამოც.) . – თბ. , 2001 . – 351 გვ.
ცნობილი ფეხბურთელის ცხოვრება და საქმიანობა. ნაშრომში ჩართულია თამაშის ამსახველი და საოჯახო ფოტოები.
853. ბახტაძე გ. გზა სავსეა მოულოდნელობებით // ქართული დროშა . – 2003 . -№1 . – გვ. 8 – 13.
ფეხბურთელ დავით ყიფიანის დედის, ქალბატონ ციალა შურდიას მოგონებები შვილზე.
854. ბახტაძე ე. აჭარაში ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი // ეკონომიკა . – 2003 . -№3 – 4 . – გვ. 71 – 76. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.
აჭარის რეგიონის ხელსაყრელი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობა და პოლიტიკური სტაბილურობა ბიზნეს და კონგრეს ტურიზმის განვითარებისათვის.
855. ბახტაძე ე. აჭარის ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კვლევის საკითხისათვის // ეკონომიკა . – 2002 . -№10 – 11 . – გვ. 80 – 89. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.
856. გიორგაძე გ. დღესასწაულის წადილი // ქომაგი . – 2002 . -№10 (60) . – გვ. 38 – 40.
დავით ყიფიანის გახსენება.
857. დარდანელის გმირი = Hero of the Dardanelles = Герой Дарданели : [ჰენრი კუპრაშვილი] : შვიდი უნიკალური მოვლენა / [მთ. რედ. : ომარ გოგიაშვილი] . – თბ. , 2003 . – 64 გვ. ტექსტი ქართ. ინგლ. და რუს. ენებზე.
რედ.: სანებლიძე ა. რეცენზია // საქართველოს ბიბლიოთეკა . – 2003 . -№4 . – გვ. 63 – 64.
858. კვარაცხელია ნ. გიწვევთ ტურისტული საქართველო... // ახალი ხიდი . – 2003 . - №2 . – გვ. 43 – 46. პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე.
საუბარი თბილისში გამართულ ტრასეკასადმი მიძღვნილ «დიდი აბრეშუმის გზის» მე-5 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე, ტურიზმის სიახლეებზე, თურქეთის ტურიზმის სამინისტროსთან ურთიერთობაზე.
859. კუნჭულია ე. მწვერვალების უცნაური დამპყრობნი // ამარტა . – 2001 . -№3 (გაზაფხული) . – გვ. 114 – 115.
ალპინისტ შალიკო მარგიანის ცხოვრების გზა.
860. ფაჩულია ზ. ქართული კალათბურთის ვარსკვლავი თურქეთში : საუბარი ზაზა ფაჩულიასთან // ახალი ხიდი . – 2003 . -№1 . – გვ. 59 – 60; პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე.

საკალათბურთო გუნდის «ულქერის» ქართველ მოთამაშეს ესაუბრა ვაჟა დანელია.

861. ქირია შ. ბრიტანული რაგბი – ლელოს შვილი? // ახალი ხიდი . – 2003 . -№3 (7) . – გვ. 58 – 59. პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე. საუბარი საქართველოს რაგბის კავშირის თავჯდომარე ბიძინა გეგიძესთან რაგბის დაბადების ადგილსა და თარიღზე, მის მსგავსებაზე ქართულ ლელოსთან, საქართველოში გავრცელებასა და დანერგვაზე, ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელ მიღწევებზე.

862. ციბაძე ა. ვეფხვი კლდით გადმოეკიდა // ხატაური . – 2001 . -№2 (3) . – გვ. 32 – 34. მთამსვლელ მიხეილ ხერგიანის ნაამბობი 1965 წელს უშშის დალამქერისას მომხდარი ერთი ეპიზოდის შესახებ.

ფილოლოგიური მეცნიერებანი

863. არაბული ა. ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში . – თბ. , 2001 . – 384 გვ.

საერთო ძირის ზმნური და სახელური ფუძეების ანალიზი. რეზიუმე გერმ. ენაზე.

864. ფოცხიშვილი ალ. ქართული ენა : ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები : [სახელმძღ. ქართ. ფილოლ. ფაკ-ტის სტუდ-თვის] . – თბ. , 2000 . – 309 გვ.

სხვადასხვა დროს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ნაშრომების კრებული ქართული ენის სტრუქტურის შესახებ – დიალექტოლოგია გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ლექსიკაში, ენობრივი შეგრძნება და სალიტერატურო ნორმა, მარი ბროსე და ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია (რეცენზია პლ. იოსელიანის წიგნზე «ქართული გრამატიკა რუსული თარგმანით»).

865. აბულაძე ც. ელენე მეტრეველი // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№3 . – გვ. 59 – 62.

აკადემიკოს ე. მეტრეველის მოღვაწეობა. გარდაცვალების გამო.

866. ამირანაშვილი ნ. თანამედროვე სამედიცინო ტერმინოლოგიაში ტერმინთა წარმოების ზოგადი პრინციპები : ლათინურ-ბერძნულ კომპოზიციებზე სუფიქსდართული ტერმინების ქართული შესატყვისები // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 3 – 7. რეზ. ინგლ. ენაზე.

867. არაბული ა. ენა დედაა ერისა!.. ქართული ენის წარსული და მომავალი // ახალი ხიდი . – 2003 . -№2 . – გვ. 33 – 35. პარალელ. ტექსტი თურქ. ენაზე.

ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიული განვითარება.

868. არაბული თ. ინგლისელ და ქართველ ბილინგვ ბავშვთა ენობრივი თავისებურებანი // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 9 – 22. რეზ. ინგლ. ენაზე.

869. აფხაიძე ფ. კაუზატიური პასივის ერთი ტიპისათვის სალაპარაკო სინჰალასა და ქართულში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 25 – 29. რეზ. ინგლ. ენაზე.

870. აღაია მ. ორი კოგნიტიური მეტაფორის შესახებ ქართულსა და ინგლისურში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 12 . – გვ. 11 – 13. რეზ. ინგლ. ენაზე.

ინგლისური კოგნიტიური მეტაფორები (“Argument is War”, “Time is money”) დასტურდება ქართულ ენაშიც და ზოგადი კონფიგურაციით ერთმანეთს ჰგავს.

871. ახალაია ფ. საკუთარი სახელი მსაზღვრელად ქართულსა და მეგრულში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 31 – 34. რეზ. ინგლ. ენაზე.

872. ახვლედიანი ნ. ტოპონიმ «ატკენჩილი»-სა და «ტრინკა სერი»-ს ეტიმოლოგიისათვის // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 12 . – გვ. 14 – 16. რეზ. ინგლ. ენაზე.

ზანური წარმოშობის ტოპონიმების განხილვა.

873. ბაბუხაძია მ. ნიკო მარის იაფეტური თეორია ენის წარმოშობის შესახებ // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 12 . – გვ. 18 – 28. რეზ. ინგლ. ენაზე.

მეცნიერთა მოსაზრებანი და დისკუსია ენათმეცნიერის თეორიის შესახებ.

874. ბართაია ნ. ტერმინ ფისტიკაურის წარმოშობის შესახებ // ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები : ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია . – 2001 . – №2 (36) . – გვ. 11 – 12. რეზ. ინგლ. ენაზე.

სალექსო ფორმის აღმნიშვნელი ტერმინის _ ფისტიკაურის, იგივე ბისტიკაურის ეტიმოლოგია.

875. ბესელია ბ. სიტყვა «ორბის» ეტიმოლოგია // ორბეთი . – 2000 . – №3 – 4 (4 – 5) . – გვ. 304 – 306.

876. ბიბილეიშვილი ც. ღვინო და ღვინოსთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ქართულსა და ფრანგულ ენებში // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . – №6 . – გვ. 30 – 36.

877. ბრეგაძე ლ. სემიოტიკური ეტიუდები // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . – №1 . – გვ. 19 – 25.

სიტყვის პირობითი, ნახატისებური (იკონისებური) ნიშნებით გამოხატვა. იკონის ფუნქცია პოეტურ ტექსტებში.

878. ბუკია მ. მწყემსის სამოსისა და აღჭურვილობის აღმნიშვნელი ლექსიკა მეგრულში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 36 – 39. რეზ. ინგლ. ენაზე.

879. ბურჭულაძე გ. იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკიდან : 18. ბუნჭველა ფუძის თაობაზე ქართული ენის დიალექტებში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 41 – 46. რეზ. ინგლ. ენაზე.

880. ბურჭულაძე თ. პრედიკატული განსაზღვრების «ორგვარი» ბუნების თაობაზე ქართულში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 50 – 53. რეზ. ინგლ. ენაზე.

881. გაბესკირია შ. მონადირე ძაღლის აღმნიშვნელი ერთი ტერმინის წარმომავლობისათვის // ორიენტალისტი . – 2003 – 2004 . – ტ. 2 . – გვ. 385 – 391. რეზ. ინგლ. ენაზე.

ავტორის თვალსაზრისით თურქულ ენაში სიტყვა “Zaar” (მონადირე ძაღლი) ქართულიდან ბერძნული ენის მეშვეობით შეითვისა ჯერ თურქულმა, ხოლო შემდეგ რამდენიმე ბალკანურ ენაში დამკვიდრდა.

882. გაბულდანი ნ. ტერმინ კურთხევის ეტიმოლოგიისა და სემანტიკისათვის // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 12 . – გვ. 52 – 59. რეზ. ინგლ. ენაზე.

883. გაზი. ზოგიერთი ტერმინის მოკლე განმარტება // სამთო ჟურნალი . – 2002 . -№1 (8) . – გვ. 62 – 66.

გაზის ტიპებისა და ნაირსახეობის გამომხატველი ტერმინები ხუთ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული) მოკლე განმარტებითურთ.

884. გელდიაშვილი ნ. ნაწილაკი საშუალო ქართულის ადრეული პერიოდის სამართლის ძეგლთა ენის მიხედვით // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 56 – 58. რეზ. ინგლ. ენაზე.

885. გელდიაშვილი ნ. რიცხვითი სახელი საშუალო ქართულის ადრეული პერიოდის სამართლის ძეგლთა ენაში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 12 . – გვ. 67 – 70. რეზ. ინგლ. ენაზე.

886. გერსამია რ. ჭამის აღმნიშვნელ ლექსემათა სინონიმური რიგი მეგრულში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 12 . – გვ. 71 – 85. რეზ. ინგლ. ენაზე.

887. გოგაშვილი დ. წითელი ფერის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინი // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . – №12 . – გვ. 10 – 24.

ეტრატზე ან ქალაქზე კალმით წერის დროს გამოყენებული წითელი ფერის საწერ-საღებავის მომზადების ბუნებრივი და ქიმიური რეცეპტები და წითელი შეფერილობის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი _ წერნაქი // წარნაქი.

888. გოგოლაშვილი გ. ზურაბ სარჯველაძე // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№2 . – გვ. 60 – 62.

ენათმეცნიერის გარდაცვალების გამო. ნეკროლოგი.

889. გორდეზიანი ე. ხალხური ზღაპარი, როგორც თარგმანის ობიექტი : (ქართული ზღაპრების რუსული თარგმანების ლექსიკურ-სტილისტური ანალიზი) სათარგმნი მასალის შერჩევის კრიტერიუმების შესახებ // თსუ სლავისტიკის ცენტრის შრომები . – 2003 . – ტ. 1 . – გვ. 10 – 21. რეზ. ინგლ. ენაზე.

ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა. ნინო დოლიძის მიერ რუსულად ნათარგმნი «ნაცარქექიას» ვარიანტის განხილვა.

890. გულუა ნ. შინაურ ფრინველთა ხმინაობის აღმნიშვნელი ტერმინები მეგრულსა და ლაზურში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 67 – 71. რეზ. ინგლ. ენაზე.

891. დოლიძე ნ. ერთი ტიპის – თბ თემის ნიშნიან ზმნათა და მასდარულ ფორმათა ურთიერთმიმართებისათვის ახალ ქართულში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 114 – 120. რეზ. ინგლ. ენაზე.

892. დოლიძე ნ. მასდარის არაკანონიკური ფორმები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 123 – 131. რეზ. ინგლ. ენაზე.

893. თარხნიშვილი ნ. სამგლოვიარო რიტუალების ამსახველი ენობრივი საშუალებების სოციო-ლინგვისტური ანალიზი ინგლისურსა და ქართულ ენებში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 135 – 144. რეზ. ინგლ. ენაზე.

894. თოფურია გ. ქართველურ ენათა ლექსიკიდან. II. ტყავ- / ტყებ- ფუძე // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№12 . – გვ. 3 – 9.

ზანური ტყობ ფუძის კავშირი სხვა ენებთან.

895. თოფურია კ. «ნოსა» ტერმინის გენეზისისათვის // საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . -№2 (435) . – გვ. 127 – 130. რეზ. ქართ. , რუს. და ინგლ. ენებზე.

მეგრული «ნოსა» (რძალი) ტერმინის იდენტურობა ძველბერძნულ სემანტიკურ დიალექტთან.

896. კაკიტაძე კ. ბერა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელობები // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 201 – 204. რეზ. ინგლ. ენაზე.

897. კვარაცხელია გ. ცხოვრებას ვერავისთან გაასაჩივრებ // ქართული დროშა . – 2002 . -№1 . – გვ. 9 – 11.

ინტერვიუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ გუჩა კვარაცხელიასთან მის შემოქმედებით ცხოვრებასა და ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე / ესაუბრა ნ. კუპრეიშვილი.

898. კუხალაშვილი მ. ნება-სურვილის გამომხატველი ნაწილაკების გამოყენების ვითარება ისტორიულად // ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები : ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1 . – 2001 . -№2 (36) . – გვ. 79 – 84. რეზ. რუს. ენაზე.

ნაწილაკთა ძირითადი და მეორეული მნიშვნელობანი ახალ ქართულში. მათი ჯგუფების გამოყოფა ფორმისა და შინაარსის მიხედვით, დიალექტური ფორმების მიღების გზები და ეტიმოლოგია.

899. ლომია შ. ზმნისართი-კომპოზიტები მეგრულში // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 206 – 209. რეზ. ინგლ. ენაზე.

900. ლორთქიფანიძე მ. მიმართებითი ზედსართავი სახელი ფრანგულ ენაში ქართულთან შეპირისპირებით // ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები : ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1 . – 2001 . -№2 . – გვ. 107 – 116. რეზ. ფრანგ. ენაზე.

901. მამარდაშვილი თ. მიმღეობის საკითხი ძველ ქართულ გრამატიკებში // ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები : ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1 . – 2001 . -№2 (36) . – გვ. 117 – 124. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია ფრანცისკო-მარიო მაჯოს, ზურაბ შანშოვანის, ანტონ ბაგრატიონის (ანტონ I), გაიოზ რექტორის, ვარლამ ერისთავის, დავით და იოანე ბაგრატიონების, იოანე ქართველიშვილის, სოლომონ დოდაშვილის, პლატონ იოსელიანის, დიმიტრი ყიფიანის, დავით ჩუბინაშვილის, თ. ჟორდანიას, ანდრია ბენაშვილის გრამატიკული ნაშრომები.

902. მამარდაშვილი თ. სახელზმნის რაობისა და მეტყველების ნაწილთა სისტემაში მისი ადგილისათვის : [ქართულ ენაში] // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 12 . – გვ. 141 – 151. რეზ. ინგლ. ენაზე.

903. მალაქელიძე ნ. III სერიის მწკრივთა სწავლება // საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე . – 2002 . -№4 – 5 . – გვ. 173 – 177. რეზ. ქართ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ა) ერთპირიანი ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება თურმეობით I-სა და II-ში, ბ) ორპირიანი -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით I-ში, გ) ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება თურმეობით II-ში.

904. მალრაძე ვ. ზემო ქართლის მიგრაციის სურათი ეთნონიმებისაგან (მესხი, ჯავახი) ნაწარმოები გვარსახელების მიხედვით // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 13 . – გვ. 216 – 220. რეზ. ინგლ. ენაზე.

905. მდივანი თ. ბიბლიური ერთეულების ეკვივალენტურობის თაობაზე : (ინგლისური, ქართული, იტალიური და რუსული ენების მასალაზე) // საენათმეცნიერო ძიებანი . – 2002 . – ტ. 12 . – გვ. 171 – 176. რეზ. ინგლ. ენაზე.
ენათმეცნიერული კვლევა.

906. მელიქიშვილი დ. ქართული ზმნის კონსტრუქცია : დიათეზა და გვარი : (ავტოტივის, რეფლექსივის, ვერსიის და გვარის ისტორიულიურთიერთმიმართებისათვის) // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2002 . -№1 . – გვ. 3 – 15.

გვარის კატეგორიის განსაზღვრა და მორფოლოგიურ-სინტაქსური კრიტერიუმების დადგენა ქართულში.

907. მესხი ბ. დიდი ენათმეცნიერი : შოთა ძიძიგურის დაბადების 90 წლისთავისათვის // ორბეთი . – 2001 . -№3 – 4 (8 – 9) . – გვ. 17 – 19.

გახსენება.

908. ნავთობი. ზოგიერთი ტერმინის მოკლე განმარტება // სამთო ჟურნალი . – 2001 . - №2 (7) . – გვ. 67 – 71.

ნავთობის ტიპების და ნაირსახეობის გამომხატველი ტერმინები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე მოკლე განმარტებითურთ.

909. ნავროზაშვილი ე. ეთნონიმი კედარი «შირ ჰაშირიმის» ქართულ თარგმანებში // თსუ სლავისტიკის ცენტრის შრომები . – 2003 . -№1 . – გვ. 66 – 69. რეზ. რუს. ენაზე.

ებრაული ეთნონიმის კედარის ქართულად თარგმნის ანალიზი და მისი მნიშვნელობების განმარტება.

910. ნიკოლაიშვილი ე. გარეჯის ეტიმოლოგიისათვის // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი . – 2003 . -№6 . – გვ. 23 – 29.

